პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
კვირა
12 აგვისტო
№ 187 (17532)
ფასი 2 კაპ.

ცხოვრებიდან — ეკრანზე

„ვაიოს ველები, ეს ორი ათასი ჰექტარი ვენახია, ორი ათასი გაწვდება ამას რაიონში? ვთქვათ, ჰექტარს ერთი კაცი მოუვლის... ეს უკვე ორი ათასი მეკვენახეა, ორი ათასი, როგორც მინიმუმი! მერე? მერე გზა, სასუქების მიტანა, წყალი, ჰო, წყალი! აი, მთავარი პრობლემა! იქ წყალი არის, პოვნა უნდა, მიწიდან ამოყვანა, არხებად დაჭესვა. ამასაც დამატებითი მუშახელი... მთავარი მაინც რწმენაა! იქნებ მართლა უნიადაგო ოცნებაა ეს ყველაფერი? ამხანაგო გიორგი, რეალობას ხომ არ მოწყდი? ამა კარგად დაფიქრდი! არა, არა!.. იყო ეს ოცნება. ექვსასი წელიწადი ოცნებობდნენ. ახლა დადგა დრო, რომ ეს ოცნება ახდეს. უნდა დაიჯერონ, რომ ამისი დრო დადგა. სხვანაირად არაფერი გამოვა!“

გავა გარკვეული დრო და მომავალი ქართული მხატვრული ფილმების მთავარი გმირის გიორგი თორელის გულდამჯდარი ფიქრების გამომხატველ ამ სიტყვებს უკვე კინოეკრანიდან მოისმენენ ჩვენი გაზეთის მკითხველები. ეს იქნება ჩვენი თანამედროვე ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი ორნაწილიანი ფაბრო კინემატოგრაფიული ტილო, მხატვრული ფილმი „რაიკომის მდივანი“, რომლის გადაღებაზე მუშაობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი რ. ჩხეიძე (სცენარის ავტორები ს. ულღუტა და რ. ჩხეიძე).

მომავალი ფილმის ეს მოკლე მონოლოგი იმად დავიმოწმეთ, რომ თქვენთვის გაგვეცნო ავტორთა განზრახვა: დაგვიხატონ ჩვენი თანამედროვე გმირი, მშრომელი საბჭოთა ადამიანი, სანიმუშო პარტიული ხელმძღვანელი და მეურნე, სული ხორცამდე კომუნისტი, რომლისთვისაც არ არსებობს პირადი საქმე საერთო-საზოგადოებრივისაგან განცალკევებით. ასეთი კინოგმირის საჭიროებას ყოველთვის აღიარებდა ქართული კინემატოგრაფი, მაგრამ განსაკუთრებით კეთილნაყოფიერი იქნება მისი შთამაგონებელი გავლენა დღეს, 70-იანი წლების ბოლოს, როცა ჩვენი ხალხი მოწოდებულია გადაჭრას ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების გრანდიოზული ამოცანები, მეათე ხუთწლედის აღმშენებლობითი გეგმით რომ არის დასახული.

ორი კვირის შემდეგ ჩვენი ხალხი იზეიმებს საბჭოთა კინოხელოვნების მე-60 წლისთავს. ცნობილია, რომ 1919 წლის 27 აგვისტოს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „ფოტოგრაფიკული და კინემატოგრაფიული ვაჭრობისა და მრეწველობის განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადასვლის შესახებ“, რომელის თანახმად **კინოგრეწველობა დიდნაციონალურ სახელმწიფოს საქმედ გამოცხადდა.** ხოლო ვ. ი. ლენინის ცნობილი გამოთქმით „ხელოვნებათა შორის დღეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კინო“, გამოიხატა კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულება კინემატოგრაფისადმი, რომელიც მაშინ რუსეთში თვითონაც ახალგაზრდა იყო. წლეულსვე, 27 აგვისტოს, და ამიერიდან მომავალში ყოველწლიურად, პირველად აღინიშნება საბჭოთა კინემატოგრაფიტების დღე.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფი (რომელიც სათავეს ი. პეტრესტანის მიერ 1927 წელს გადაღებული „არსენა ჯორჯიაშვილიდან“-იდან) და საბჭოთა კინო თითქმის თანაბრულები არიან.

ჩვენმა ეროვნულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. მისი მიღწევები დღეს ფართოდ არის აღიარებული ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. ამის საუკეთესო საბუთია, თუნდაც, საერთაშორისო კინოფესტივალებზე მოპოვებული 100-მდე პრიზი და პრემია.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ქართული კინო ამჟამად საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია, რომელსაც დიდ ამოცანებთან შეჰიდბიაც ხელეწიფება და მათი დღევანდელობის შესაფერისად გადაწყვეტაც.

კინოხელოვნება „ქართულ ფილმში“, სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმებისა და სატელევიზიო ფილმების სტუდიებში აღიარებულ ოსტატებთან ერთად ნაყოფიერად მუშაობენ საშუალო და ახალგაზრდა თაობის რეჟისორები, ოპერატორები, მსახიობები.

საგრძნობლად გაიზარდა კინოწარმოების მოცულობა. ახლა ჩვენში ყოველწლიურად გამოდის 8 სრულმეტრაჟიანი მხატვრული, 6 სრულმეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი, მოლტატაჟიკაცური, თოჯინური ფილმები, კინოპუბლიცისტიკის (დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული ჟანრები) ნაწარმოებები. ფილმების ნაწარმოების ასეთმა გაფართოებამ საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ შემოქმედებითის ასპარეზზე გამოსულიყო ახალგაზრდა ოსტატთა მთელი პლეადა, რომ მათ მისცემოდათ საშუალება ძიებებისა და ექსპერიმენტებისათვის, რომ ეყოფილიყო მეცადინეობა თემატური და ჟანრული მრავალფეროვნებისათვის.

ჩვენს კინოს, შეიძლება ითქვას, არასოდეს არ აკლდა ცნობილი, საქვეყნოდ აღიარებული ოსტატების, რეჟისორების, ოპერატორების, მსახიობების სახელები, რომელთა შემოქმედებამ ფართო აღიარება მოუპოვა ეროვნულ კინემატოგრაფს საკაშირო და მსოფლიო მასშტაბით. მაგრამ სადღეისოდ ეს მაინც არ იყო საკმარისი. ამიტომ ის ფაქტი, რომ ამჟამად საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში შექმნილ სარეჟისორო ფაკულტეტზე მზადდება ახალი კადრები (რეჟისორები, ოპერატორები), ეროვნული კინოხელოვნების წინსვლისა და აღმავლობის საუკეთესო გარანტიაა. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, აგრეთვე, კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ შექმნილი ექსპერიმენტული თეატრალური სახელოსნო — კინომსახიობთა თეატრი, რომლის მუშაობა უკვე ფართო საზოგადოებრივობის ყურადღების საგანი გახდა და ფრიად დადებით როლს შეასრულებს მომავალშიც. გადადგმულია გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯები, რომ კინოდრამატურგიის ჟანრში უფრო აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩვენი მწერლობის ცნობილი და ახალგაზრდა ოსტატები.

შემოქმედებითად დავაუკაცდა ქართული კინოკრიტიკა. თუ ადრე ამ ჟანრში საგრძნობლად მცირე იყო კინოსპეციალისტი, ახლა უკვე გვყავს პროფესიული კინოკრიტიკოსთა და კინომცოდნეთა მთელი რაზმი, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს როგორც კინოს ისტორიის საკითხებზე, ისე თანამედროვე კინოხელოვნების აქტუალური პრობლემების დამუშავებაზე. გაიზარდა მათი პროდუქციის ხვედრითი წონა სპეციალურ საკავშირო პერიოდიკის ფურცლებზე.

ცხადია, მიღწევები, წარმატებები, მუშაობის სათანადო პირობებისა და ატმოსფეროს შექმნა ახალ ამოცანებს, ახალ პრობლემებს წამოჭრის, ახალ მოთხოვნებს უსახავს ჩვენი კინოს მოღვაწეებს. **ამოცანათა ამოცანა და პრობლემათა პრობლემაა ჩვენი სინამდვილის თანამედროვეობის ფარგლებში მთელი თავისი სიბრძე სიბანით,** მთელი თავისი დადებითი და დასაძლევი უარყოფითი მხარეებით. საბჭოთა ქართული კინოს მთავარი გმირი უნდა იყოს თანამედროვე ადამიანი — ხალხისა და პარტიის ნების აღმასრულებელი, მებრძოლი კომუნისტი-ინტერნაციონალისტი, მაღალი მოქალაქეობრივი და ადამიანური ზნეობის დამამკვიდრებელი, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საქმის, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული და შეუპოვარი მებრძოლი. ამას შთააგონებს ჩვენ საბჭოთა ხალხის მთელი ისტორია და დღევანდელობა, ამისაკენ მოგვიწოდებენ ჩვენ პარტიისა და მთავრობის ცნობილი დადგენილებები კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების თაობაზე, და, რაც უმთავრესია, ბოლოდროინდელი დიდი პარტიული დოკუმენტი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავის წინ, 14 აგვისტოს მოსკოვში საერთაშორისო კინოფესტივალზე მეთერთმეტედ იკრიბებიან მსოფლიოს კინოს გამოჩენილი ოსტატები. ამას გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს, რადგან საბჭოთა კინემატოგრაფი ერთ-ერთი მოწონებულ და ტონის მომცემია მსოფლიოში.

„ᲔᲘᲛᲘᲗᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲗᲐᲚᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲘᲜᲝᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲠᲬᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐᲡ ᲧᲐᲚᲮᲝᲗᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲛᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

„ᲙᲝᲜᲝᲠᲘ“ ᲒᲘᲠᲒᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ნოსირის რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა კომბინატის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მშენებლის დღის დამდეგს გულითადად ულოცავენ ნოსირის საშენ კონსტრუქციათა კომბინატის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობის წარმატებით დამთავრებას.

ნოსირის კომბინატი, რომლის სიმძლავრე წელიწადში 75 ათას კუბურ მეტრ რკინა-ბეტონის ნაკეთობას შეადგენს, თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი დიდი საწარმოა. მის ამოქმედებას თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. გავა ცოტა ხანი, და სამშენებლო ინდუსტრიის ახალი დიდი კომბინატი მნიშვნელოვნად გაგვაუმჯობესებინებს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საბავშვო ბაღების, სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობის ხარისხს, შეგვამცირებინებს მათი აგების ვადებს.

მიღწეული წარმატებანი იმის შედეგია, რომ თავდადებით შრომობდა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივი. ამ წარმატების მიღწევას მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დამპროექტებლებმა, საავტომობილო ტრანსპორტისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების, რესპუბლიკის სახმომარაგების, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშაკებმა. კომბინატის მშენებლობის წარმატებით დამთავრებისათვის დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს პარტიის ცხაკაიას რაიკომმა, რაიაღმასკომმა, რაიონის პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ კომბინატის კოლექტივი მოკლე ვადაში ითვისებს საწარმოს საპროექტო სიმძლავრეს.

ვუსურვებთ მშენებლებს, მემონტაჟეებს, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ყველა მუშაკს ახალ შრომითს გამარჯვებებს გეგმების და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

სოფლის სამშენებლო ინდუსტრიის ფლაგმანი მწყობრში ჩადგა

გუშინ ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საშენ კონსტრუქციათა კომბინატი.

სასოფლო მშენებლობის ინდუსტრიის გიგანტი შეიძლება ვუწოდოთ ამ საწარმოს, რომელიც ყოველწლიურად მიაწოდებს დასავლეთ საქართველოს რაიონებს 75 ათას კუბურ მეტრ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, რაც ერთიორად აღემატება ამჟამად მოქმედი კომბინატებიდან უდიდესს — ოვრის საწარმოს სიმძლავრეს.

კომბინატის პროდუქციას გამოიყენებენ საწარმოო კომპლექსების, სკოლების, საბავშვო ბაღების, ადმინისტრაციული შენობებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. ერთი წლის შემდეგ (როცა იგი საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევს), საწარმო, რომლის შემადგენლობაში შევა სამონტაჟო ჯგუფი, სასოფლო სახლთმშენებლობის კომბინატი გახდება. ეს ნიშნავს, რომ მისი მუშაკები დაამზადებენ და თვითონ დაამონტაჟებენ სამშენებლო მოედნებზე ბლოკებსა და პანელებს. კომბინატის შტატშია 300 კაცი, რომელთა უმრავლესობას ქალაქ ცხაკაიასა და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებნი შეადგენენ. სანამ მშენებლობა მიმდინარეობდა, ისინი სრულყოფილად დაეუფლნენ მებეტონის, მეარმატურისა და სხვა პროფესიებს. საწარმო ააშენეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №5 და №9 ტრესტებმა.

საქინფორმის კორესპონდენტმა სასოფლო მშენებლობის მინისტრს ი. ხარატიშვილს სთხოვა ეამბნა ამ ფაქტის გამო.

— დასავლეთ საქართველოს რაიონებში მშენებლობის ვრცელი პროგრამის შესასრულებლად ჩვენ უკვე რამდენიმე წელიწადში დაგვეჭირდება სულ ცოტა 110-120 ათასი კუბური მეტრი ნაკეთობანი ყოველწლიურად, თქვა მინისტრმა, — რეგიონის ახლანდელი საწარმოო სიმძლავრენი კი დღესდღეობით მხოლოდ 50 ათასი კუბური მეტრის გამოშვებას უზრუნველყოფენ. ცხაკაიას კომბინატის პროდუქცია სულ მალე შეავსებს ამ ხარვეზს. ახლო მომავალში კომბინატის გვერდით გაჩნდება კიდევ ერთი საწარმო. საქმე ის არის, რომ მეტ წილ საშენ კონსტრუქციათა დასამზადებლად საჭიროა ეგრეთ წოდებული მსუბუქი შემვსებები, რომლებიც წიდის, პემზის, სხვა ანალოგიური ქანებისაგან მიიღება. ჯერჯერობით კი ამ მასალებს ვიღებთ სხვა რესპუბლიკებიდან და ცხაკაიას დაშორებული მარნეულის რაიონიდან. გეოლოგებმა ნოსირში აღმოაჩინეს თიხა, რომლისგანაც შეიძლება დამზადდეს ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი შემვსები, — კერამზიტი.

ცხაკაიას კომბინატის ამოქმედებამდე სოფლის საჭიროებისათვის რკინა-ბეტონის საწარმოო სიმძლავრენი რესპუბლიკაში 322 ათას კუბურ მეტრს შეადგენდა წელიწადში. უკვე წელს გათვალისწინებულია ამოქმედდეს კიდევ ორი ქარხანა ზუგდიდსა და თერჯოლაში, რომლებიც 65 ათას კუბურ მეტრ რკინა-ბეტონს აწარმოებენ. ნოსირის კომბინატი „პირველი მერცხალია“ სასოფლო სახლთმშენებლობის დიდი ობიექტების მშენებლობის პრაქტიკაში. მომავალ ხუთწლედში თერჯოლაში, გორსა და თელავში ასეთ საწარმოთა მშენებლობის შედეგად რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა ყოველწლიური გამოშვება საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში 620 ათას კუბურ მეტრამდე გაიზრდება.

● ●

საქართველოს სოფლის სამშენებლო ინდუსტრიის ფლაგმანის საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით ნოსირში მიტინგი გაიმართა.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესკანჯიამ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება კომბინატის მშენებლების, მემონტაჟეების, დამპროექტებლების, მშენებლობის ყველა მონაწილისადმი.

მიტინგზე გამოსვლისას საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მმართველმა გ. გაბისონიამ საწარმოს სიმბოლური გასაღები გადასცა კომბინატის დირექტორს ს. გვალიას.

მშენებლებს მოპოვებული გამარჯვება მიულოცეს № 5 ტრესტის № 50 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსმა სამუშაოთა მწარმოებელმა დ. ჯიქიამ, ნოსირის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. მაქაცარიამ, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ხ. ხასიამ, ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ტ. წურწუმიამ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმის ზონალური შტაბის მთავარმა ინჟინერმა ვ. გაგუამ, № 50 მოძრავი მექანიზებული კოლონის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა კ. ბალიოიამ, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ი. ხარატიშვილმა. (საქინფორმი).

12 აგვისტო—მშენებლის დღეა



სურათებზე: ზემოთ ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის საშენ კონსტრუქციათა ახალი კომბინატის საერთო ხედი; საყალიბო საამქროს ოპერატორები ნუგზარ გერსამია (მარცხნივ) და თამაზ ჭითავა.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზეიმობენ მშენებლები

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ გაიმართა მშენებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი.

თავიანთ გამოსვლებში საზეიმო კრების მონაწილე დარგის მოწინავეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აღუთქვეს, რომ მთელ თავიანთ ძალებს, ცოდნას და გამოცდილებას მოახმარენ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ საუკეთესო მშენებლები — ისინი ვინც აშენებენ ახალ ელექტროსადგურებსა და ქარხნებს, ბინებისა და საცხოვრებელ მასივებს, ბავშვთა დაწესებულებებსა და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებს, — 10 აგვისტოს შეიკრიბნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ. თეატრში. აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ტრადიციულ დღესასწაულს— მშენებლის დღეს. კრება გახსნა მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ა. კოპლატაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ო. ოლოლაშვილმა.

რესპუბლიკის მშენებლებსა და მემონტაჟეებს მიესალმნენ ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ბ. ბოკუჩავა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მემონტაჟეთა ბრიგადირი ვ. მელიქაძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ანდღულაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ჩარკვიანი.

კრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე გ. ანდრონიკაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ქედიშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივნები ზ. კვაჭაძე და ი. ხაზარაძე.

საზეიმო კრების დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქინფორმი).

კვლევის პროგრამის დასასრულს

ᲤᲠᲔᲜᲘᲜ მართვის ცენტრი, 10 აგვისტო. (საკდესი). 166 დღეა ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში მუშაობენ.

„სალუტ-6“-„სოიუზ-34“ ორბიტული კომპლექსის ფრენის პროგრამის შესაბამისად, კოსმონავტებმა დაამთავრეს კრტ-10 კოსმოსური რადიოტელესკოპის მეშვეობით ჩატარებული ასტროფიზიკური და გეოფიზიკური ექსპერიმენტების ციკლი.

ეკიპაჟი შეუდგა გაწეული კვლევის დასაბრუნებელი მოწყობილობისა და მასალების ჩაწყობას „სოიუზ-34“ ხომალდის დასაშვებ აპარატში.

დღის განმავლობაში კოსმონავტები მუშაობდნენ აგრეთვე სადამნშნეს, სადაც 1972 წლამდე დავყავი, იმავე წლის აგვისტოდან კი ენგურზე ვარ.

— გილოცავთ დიდ ჯილდოს, მაღალ წოდებას და ახალ თანამდებობასაც. თქვენ ხომ ეს-ეს არის „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის მმართველად დაგნიშნეს და ამავე დროს პარალელურად ენგურჰესის სამმართველოს უფროსის მოვალეობასაც ასრულებთ...

დიახ, დიდი პასუხისმგებლობა მეკისრება. ჩემი აზრით, ეს ჯილდო ჩემთან ერთად ყველა ენგურჰესელ მშენებელს ეკუთვნის. გარდა ამისა, სასიხარულოა ისიც, რომ ჩვენთან ერთად 300 მშენებელი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, 60 კაცს კი საპატიო წოდებანი მიენიჭა.

წელს ენგურჰესზე გეგმით 35 მილიონი მანეთი უნდა ავითვისოთ. ვფიქრობ, ფაქტიურად გეგმას გადავჭარბებთ, ეს მაჩვენებელი 42-43 მილიონ მანეთს მიაღწევს. მას დაემატება კიდევ „საქჰიდროენერგომშენის“ 35 მილიონი მანეთი და ეს საერთო ციფრი ალბათ 80 მილიონამდე გაიზრდება. ასეთი დიდი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება ერთი ორგანიზაციისათვის, მოგეხსენებათ, იოლი არ არის. როგორც ხედავთ, სამუშაო დიდია და მისი შესრულება ერთობ საპატიოა.

გაზეთი ჩაერია, დაეხმარა

„კომუნისტის“ კონტროლზეა მკითხველთა წერილები

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რაიონის სოფელ ნიგოითში კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ შინმოუსვლელთა სტენდი მოაწყო. — ატყობინებდა რედაქციას ა. კალანდარიშვილი, — შემოღობილში ხარობდა მწვანე ნარგავები და ყვავილები, სოფლის მცხოვრებნი მზრუნველობას არ აკლებდნენ მას. დროთა ვითარებაში, მაგ შემდეგ, რაც კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა, სტენდს ყურადღება მოაკლდა, სურათები ამოცვივდა, ჩარჩოებს ჟანგი მოეკიდა. ამის გამო ავტორი გულისტკივილს გამოთქვამდა.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲠᲐᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ Რ. ᲔᲑᲠᲐᲚᲘᲫᲔᲛ ᲒᲐᲪᲮᲝᲑᲐ: ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲛᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ.

ᲩᲘᲠᲘᲜᲘ გაზეთის მკითხველი, სამამულო ომში დაღუპული მეოთხრის მეუღლე ე. ჯინჭარაძე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხევიდან რედაქციას სთხოვდა დახმარებას საშენი მასალების შეძენაში. ჩოხატაურის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ხ. ცინცაძე გვატყობინებს:

— ე. ჯინჭარაძეს სატყეო მეურნეობიდან უკვე გამოეყო ათი კუბური მეტრი ხე-ტყე და ერთი ტონა ცემენტი.

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი ქ. კობახიძე ქარელის რაიონის სოფელ დვახიდან გვწერდა, რომ მისი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი იყო კურორტ მენჯში მკურნალობა.

როგორც საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის მინისტრმა კ. გარდაფხაძემ გვაცნობა, მოქალაქის თხოვნა დაკმაყოფილებულია.

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ რაიონის სოფელ ხორხელის მოსახლეობას სასმელი წყალი არ გვყოფნის, გვატყობინებენ მკითხველები ი. იმერლიშვილი და სხვები.

სოფელი ხორხელი მართლაც განიცდიდა სასმელი წყლის ნაკლებობას, გვწერს საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის მდივანი უ. ჯაფარიძე. ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია. აქ მოეწყო დამატებითი წყალსატუმბი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ მკითხველი ს. თევდორაძე ჩიოდა იმის გამო, რომ № 23 სამრეცხაო პუნქტში მიბარებული სარეცხი დაგვიანებით და უხარისხოდ გარეცხილი მიიღო. საჩივარი თბილისის საყოფაცხოვრები მომსახურების სამმართველოს გადავუგზავნეთ.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ს. თევდორაძის განცხადებაში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეა, — გვაცნობა სამმართველოს უროსმა მ. გელეიშვილმა. — სამუამად მოსახლეობის დაკვეთების ხარისხიანად და დროულად შესრულების მიზნით მოღებულია ზომები. კერძოდ: შეიცვალა სამრეცხაო ფაბრიკა „თოლიას“ ხელმძღვანელობა, მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით სუფთა სარეცხის შესაფუთად შეძენილია სპეციალური ჩანთები და ცელოფანის პარკები. შეკვეთების შესრულების ვადები შემცირებულია 5-6 დღემდე ნაცვლად ათი დღისა.

გვესაუბრებიან გმირები

ᲒᲣᲨᲘᲜ პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკებს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ. სამშობლოს ეს უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს მაღლივი კაშხალის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲝᲚᲝᲔᲜᲘᲙᲝᲕᲛᲐ** და ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსმა **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲫᲕᲘᲚᲛᲐ.**

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორესპონდენტები შეხვდნენ გმირებს, ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველთა არმიის სახელით მიულოცეს ამ საპატიო წოდების მინიჭება და ესაუბრნენ.

აი რა თქვეს სოციალისტური შრომის გმირებმა:

პრიზვლეშა: დაკაძლიოთ ხოფლად ხუთწლედის ხაკ ფელიფკადში გაკოვლენილი ნაკლოვანებები!

ხილიც იხილეთ, მეგალეც იკითხეთ

გვეხაუბრება საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. აბრამიშვილი.**

მწყობრად, ენერგიულად მიმდინარეობენ მეათე ხუთწლედის გზებზე გორის რაიონის მშრომელები, რომლებიც ახლა უკვე ისეთ სიმაღლეებზე გავიდნენ, სადაც მოჩანს მეოთრმეტე ხუთწლედის დასალაშქრავი მიჯნები.

„ჩვენი ხუთწლიანი გეგმით განსაზღვრული მიჯნები მინიმალურად უნდა მივიჩნიოთ, — ამბობს სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, — ამიტომ ამოცანა ეს არის, რომ მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ მას“.

ეს სერიოზული ამოცანაა და თითოეული ჩვენგანისაგან ძალების მაქსიმალურ დაძაბვას, შემოქმედებითს ინიციატივას, მაღალ პერსონალურ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

როცა გორელები ამბობენ, ხილია ჩვენი შემოსავლის პირველი წყაროო, მხედველობაში აქვთ აქაური მიწის უბერველესი სიმდიერე, რაიონის პროფილის განმსაზღვრელი, ეკონომიკის ძლავრი მამოძრავებელი ბერკეტი — მეხილეობა. მართლაც, მეხილეობა ჩვენში წამყვანი დარგია და ცოტა როდი კეთდება მისი შემდგომი განვითარებისა და სამრეწველო რელსებზე გადაყვანისათვის.

როცა ხილის წარმოების გაფიდების რეზერვებს ვეძებდით, ყურადღება გავამახვილეთ ორ არსებითს მომენტზე: ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდებასა და ბაღებში სიმეჩხრის სრულ ლიკვიდაციაზე. წარსულში რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში სწორედ ამ საკითხების უგულებელყოფამ გამოიწვია არათანაბარი მაჩვენებლები ხრლის ჰექტარობრივ მოსავლიანობაში, როცა ზოგიერთი მეურნეობა წარმოებისა კი არა, სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებებსაც ვერ ასრულებდა. მაშინაც კი, როცა ხილის საშუალო რაიონული მაჩვენებელი ჰექტარზე 50 ცენტნერს აჭარბებდა, ტყვიავის კოლმეურნეობაში, ძევრის საბჭოთა და მეხილეობის ექსპერიმენტულ მეურნეობებში, ოგრეთვე სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში 4-5-ჯერ მეტ მოსავალს იღებდნენ.

ახლა უკვე, როცა მომავალი წლისათვის საშობლოს 100.000 ტონა ხილს ვპირდებით, წინა პლანზე დგება ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი ამაღლების, მეურნეობის გაძღოლის კომპლექსურ ამოცანათა განხორციელების საკითხები.

ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი ნახევრის შედეგები იმის იმედს იძლევა, რომ როგორც ხილის, ისე სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადებაში ხუთწლედის ფინიშზე გარკვეული მარაგნამეტით გავალთ. კერძოდ, განვლილ სამწლეულში დამზადებულია 225.199 ტონა ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180.578 ტონისა. მთლიანად მეათე ხუთწლედში კი უნდა დამზადდეს 358.578 ტონა. დარჩენილ ორ წელიწადში ვვარაუდობთ სახელმწიფოს 190.000 ტონა ხილი მიეყიდოთ, რაც საბოლოო ანგარიშით, ხილის დამზადების ხუთწლიანი გეგმის დავალების 117-119 პროცენტით შესრულებას უზრუნველყოფს. ერთი სიტყვით, ჩვენს მეხილეებს თამამად შეიძლებათ თქვან — ხილიც იხილეთ და მებაღეც იკითხეთო. ხილის ბაღები მართლაც შესანიშნავად არის მოვლილი.

ასე რომ, თუ ხილის წარმოებაში განვლილი სამი წლის მანძილზე ჩამორჩენაზე ვისაუბრებთ, ეს საუბარი მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო-ტექნიკური ბაზის უკონლობას თუ შეეხება, რომელიც ამუხრუჭებს ხილის წარმოების შემდგომი ამაღლების საქმეს. ამან არ შეიძლება ჩვენი შეშფოთება არ გამოიწვიოს. ამ დარგის ხვედრითმა წილმა კი რაიონის მთლიან სასაქონლო პროდუქციაში შარშან 40 პროცენტი შეადგინა, ხოლო მეთრმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის 55 პროცენტს უნდა მიაღწიოს.

როდესაც ხილის წარმოება წინ უსწრებს მის გადამუშავებასა და რეალიზაციას, ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს ბევრი შეუსაბამობა, და ასეც ხდება. თუ ხილის კრეფის სეზონის დასაწყისში დღეში საშუალოდ 1.100-1.300 ტონა იკრიფება, უკვე შუა სეზონისათვის თითქმის 500-600 ტონას ვიღებთ. ეს იძულება არსებული სასაწყობო მეურნეობების, ხილის მიმღები და გადამამუშავებელი პუნქტების, სამაცივრო მოწყობილობის ნაკლებობით არის გამოწვეული.

მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხილის ბაღების ფართობი 18.000 ჰექტარამდე გაიზრდება. ბუნებრივია, ეს სავარგულების სულ ცოტა 2.500 ჰექტარით შემცირებას გამოიწვევს. სხვა კულტურების პროდუქტების წარმოება მეხილეობას ჰარმონიულად რომ შეერწყას, უნდა მოხდეს წარმოების გეგმის შემცირება ინტენსიური მეხილეობის განვითარების სასარგებლოდ. ეს უპირატესად შაქრის ჭარხლსა და ბოსტნეულს შეეხება, თუმცა ამ კულტურების წარმოება დღეისათვის შორს უსწრებს სახელმწიფო დავალებებს. ვვარაუდობთ, რომ ხუთწლედის ბოლოს სახელმწიფოს მივყიდით 186.850 ტონა ჭარხალს, 82.680 ტონა ბოსტნეულს, რაც ხუთწლედის დავალებაზე ბევრად მეტია.

როცა განვლილ სამ წელიწადში გამოვლენილ ჩამორჩენასა და მისი დაძლევის გზებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მეევნახეობა, მეცხოველეობის საკვებისა და მეცხოველეობის ზოგიერთი პროდუქტის დამზადების საქმეში წინა წლებში დაშვებული შეცდომები.

კვლავ დამაფიქრებელია ჩვენი ზვრების მდგომარეობა. ადამიანთა შრომა, რა თქმა უნდა, თავდადათავია, თუმცა ბუნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენს მეევნახეებს უსამართლოდ ექცევა. 1976-1977 წლების უმაცრესმა ყინვებმა მთლიანად დააზიანა საზოგადოებრივი მეურნეობების ზვრები და თუმცა ვაზის გადასარჩენად ქუდზე კაცი გამოვიდა, საბოლოო ანგარიშით, სანახევროდაც ვერ შესრულდა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალებები.

1977 წელს ყურძნის დამზადების გეგმის შესრულება 65 პროცენტამდე გაიზარდა. შარშან ჩვენი ზვრები მთლიანად ჩადგა სიუხვის სამსახურში და ქვეყნის მარანში მრავალი ზეგეგმითი ტონა ყურძენი შევიტანეთ. ახლა დადაუდებელ ამოცანად ის მიგვაჩნია, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის ყურძნის დამზადება მაქსიმალურად მივუახლოოთ საკონტროლო ციფრებს.

მეცხოველეობის განვითარება და მისი ხარისხობრივად ახალ საფეხურზე აყვანა რაიონში იმ მოთხოვნათა შესაბამისად მიმდინარეობს, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემული დებულებებიდან. მოპოვებულია არსებითი წარმატებები ხორცის, რძის, მატყლის, მეცხოველეობის სხვა პროდუქტების საგეგმო დავალებათა შესრულებაში. წინა საუკუნეში ეგეგმასთან შედარებით 791 ტონით მეტი ხორცია დამზადებული.

ვფიქრობთ, გადაჭარბებით გავანაღდებთ რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებებსაც, თუმცა განვლილი სამი წლის მანძილზე გარკვეული სიძნელეები გვქონდა. კვლავ საფრთხეშია კვერცხის დამზადების საქმე. მეფრინველეობის მეფრინველეობის ფაბრიკაში კადრების ცუდად შერჩევამ და განაწილებამ, უხეირო სტიმა უარყოფითად იმოქმედა სამეურნეო მაჩვენებლებზე. უკანასკნელ ხანებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მდგომარეობა აქ მკვეთრად გამოსწორდა, მაგრამ, სამწუხაროდ, წინა წლებში დაშვებული შეცდომები მეფრინველეობის მეფრინველეობის დღემდე მოჰყვება უსიამოვნო ტეირთად.

ბევრი რეზერვი დ[illegible]ლობა გავუშვით ხ[illegible] ზვრებიდან. ზეცხოველეობის [illegible] ზის განმტკიცებისა [illegible]ში. კერძოდ, განვ[illegible]ულში ვერ შეასრულეს. [illegible]ის, სილოსის, საკვები ძირხვ[illegible]ების დამზადების დავალებები მეცხოველეობის ფერმებს [illegible]სობით ტონა საკვები დააკლდა. [illegible]ულს რაიონში საკვების [illegible]ადების საქმე ყველას საზრ[illegible]ად არის გამოცხადებული. [illegible] პირობა გვაქვს იმისათვის, რომ [illegible] დავძლიოთ წინა წლების ჩამორჩენა, არამედ შ[illegible]ახათ საკვების დიდი მარაგიც, რათა პირუტყვმა ჩინებულად გამოზამთროს. მთლიანად კი ხუთწლედის მანძილზე ჩვენი საკვებმომპოვებელი დაამზადებენ 237.326 ტონა უხეშ საკვებს, რაც საგეგმო დავალებაზე საკმაოდ მეტია. აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან მხვნელ-მთესველებმაც, რომლებიც წლითიწლობით ზრდიან მარცვლეული კულტურების მოსავლიანობას.

მომდინარე სამეურნეო წელი ის წელია, როცა ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ დანაკლისის ასანაზღაურებლად, მტკიცე საიმედო წანამძღვრების შესაქმნელად.

ხაუბარი ჩაიწერა

გ. ვაშაკიძემ.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

„კომუნისტის“ კალენდარი

ოკუპაციზმის ... ეგვიპტეში

ამ დღეებში ისრაელისა და ეგვიპტის პრესამ აღფრთოვანებული შეფასება მისცა ისრაელის ქ. ჰაიფაში ჩატარებულ შეხვედრას, რომელზეც კვლავ პალესტინელთა „თვითმმართველობის“ საკითხი განიხილებოდა. ამერიკის მახობრივი ინფორმაციის პროსიონისტურმა ორგანოებმა კი ქმაყოფილებით აუწყეს მსოფლიოს, რომ ჰაიფის შეხვედრაზე ეგვიპტისა და ისრაელის წარმომადგენლებმა „პირველად მიაღწიეს საგრძნობ პროგრესსო“. მოლაპარაკებათა შემდეგი ტური უკვე ალექსანდრიაში გაიმართება.

მართალია, ჯერ არც ტელავივში, არც კაიროსა და ვაშინგტონში არ დაუზუსტებიათ, თუ კონკრეტულად რით გამოიხატება „პირველი საგრძნობი პროგრესი“, მაგრამ დიდი თავსატეხი აქ არაფერია — ყველასათვის კარგად არის ცნობილი ისრაელის უკომპრომისო პოზიცია და ასევე საიდუმლოებას არც ეგვიპტის ხელმძღვანელობის უპრინციპო, ანტიარაბული მუდმივად დამომობის კურსი წარმოადგენს. მიმომხილველებს ისღა დარჩენიათ, რომ სადათის მორიგი უკანდახევის საზღვრები იწინასწარმეტყველონ.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური თვით ღაზის სექტორსა და მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ პალესტინელთა დამოკიდებულება ,,პოზიცია ამ ფარისაადმი, ვინაიდან ისრაელს ამერიკის დახმარებით ადვილად შეუძლია რაზეც სურს, იმაზე დაიყოლიოს სეპარატიზმის გზას დამდგარი ეგვიპტის პრეზიდენტი.

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო აზრით, უკანასკნელ თვეებში სადათმა თავისი ორიოდე მომხრეც კი დაკარგა ღაზაში და მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე. ფრანგული „მონდის“ აზრით, დღითი დღე მცირდება იმ „ზომიერ“ პალესტინელ მოღვაწეთა რიცხვი, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინათ ეგონათ, რომ შეიძლებოდა რაიმე სიკეთე მოეტანა ისრაელის სეპარატისტული ხაზისა. ამ მხრივ განსაკუთრებულ აზრად ტიპური მაგალითია ღაზის მერი რაშად აზ-შაუა, რომელიც ამ რაიონის ერთ-ერთი უველაზე ძველი, მდიდარი და გავლენიანი გვარის წარმომადგენელია. ადრე აშ-შაუა არაერთხელ გამოსულა სადათის „სამშვიდობო“ ინიციატივის მხარდამჭერად, რამდენიმე ადგილობრივ მოღვაწესთან ერთად კემპ-დევიდის ზავის შემდეგ შეხვდა ამ ჩამოსულ ამერიკელ ემისრებს და სხვ. ამ ორი თვის წინათ კი მან მოაწყო ღაზაში ადგილობრივი მოსახლეობის მიტინგი, რომელიც უკვე კემპ-დევიდის წინააღმდეგ იყო მიმართული. უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო აქტიურად გამოდის ღაზის გავლენიანი მერი სადათის კურსისა და ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ, აშ-შაუამ ოფიციალურად უარყო ღაზის „ავტონომიის“ გეგმა. პოლიტიკურ პლატფორმის ასეთმა მკვეთრმა ევოლუციამ მერის მოწინააღმდეგეთა (პალესტინელთა რიგებიდან) ირონია გამოიწვია — რაკი ისეთმა გამჭრიახმა ადამიანმა, როგორიც აშ-შაუაა, უარყო „ავტონომიის“ იდეა, ჩანს, ქარი უკვე სულ სხვა მხრიდან უბერავსო.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთგარემოება; ისრაელის ხელისუფლება გაურბის სამხედრო ოკუპაციის ტრადიციულ ფორმებსა და მეთოდებს; როგორც ღაზის სექტორში, ასევე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე უცხოელ ეურნალისტებს თავისუფლად შეუძლიათ, როგორც მოგზაურობა, ასევე პალესტინელელ მოღვაწეებთან შეხვედრები და საუბრები. ბირზეითის ცნობილი უნივერსიტეტის (პალესტინის ნაციონალიზმის ერთ-ერთი კერა) პროფესორ - მასწავლებლებს ხშირად ხვდებიან უცხოელ ეურნალისტებს და მათთან საუბარში მკაცრად აკრიტიკებენ ოკუპაციის პირობებს.

ფაზიტურად ისრაელის ოკუპაცია არ არის თვალში საცემი. იორდანის დასავლეთ სანაპიროზე განლაგებული ისრაელის არმიის 3000 ჯარისკაცი დღისით ერიდება ქუჩაში გამოჩენას. „რასაკვირველია, ეს ძალზე თავისებური ოკუპაციაა“ იმოწმებს ფრანგული „მატენი“ ახალგაზრდა პალესტინელ ადვოკატს ქ. რამალიდან. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლებად ჩანდნენ, ოთხ ხალხის რიგში არ გამოიწვიონ. მაგრამ ისინი აკონტროლებენ ეკონომიკას, ცხოვრების ყველა დარგს, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა აქვს, და უპირველეს ყოვლისა ზელს უწყობენ ყველაფერს, რასაც კი ხალხის თვითშეა შეუძლია“. უკანასკნელმა მოვლენებმა კი ცხადყო, რომ პალესტინელთა გათვითშეუძლებელია: სულ უფრო და უფრო ორგანიზებულ სიათს იღებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრ[illegible] პალესტინელთა ბრძოლა. ბოლო ... ეგვიპტელ [illegible] ნაადმდეგ. სწორედ ეს ბრ[illegible]ლა, მისი პერსპექტივები [illegible] მასშტაბებია ის რეალური [illegible] რანტია, რომ ზეშოხსენებულ „პირველი საგრძნობი [illegible] გრესი“ სინის უდაბნოს [illegible] რაუს უფრო წაიგავს, ვიდ[illegible] რეალურ მოვლენას.

ს. ციციშ[illegible]

„კომუნისტის“ პოლ[illegible] კური მიმომხილველ[illegible]

ტრაქტორს კი... ფერდობები ელის

ანუ ამბავი იმისა, თუ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო ცხრა წლის მანძილზე როგორ თვლემს ერთი მნიშვნელოვანი გამოგონება

ჩვენი რესპუბლიკის მთაგორიანი რაიონების საზოგადოებრივ-მეურნეობებში მწვავედ იგრძნობა სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაკლებობა, უფრო სწორი კი იქნებოდა გვეთქვა, უქონლობა. დღემდე თითქმის არა გვაქვს ისეთი სამთო მანქანები, რომლებითაც შეიძლებოდა ეროზიის თავიდან აცილებლად გარიგებრივი დაგვეშალებინა დაფერდებული მიწის სავარგულები, რაც რესპუბლიკაში არც თუ ისე ცოტაა.

მას შემდეგ, რაც სოფლად ცოცხალი გამწეები ძალა ტექნიკამ შეცვალა, მორტო ასპინძის რაიონში თითქმის 10 ათასი ჰექტარი დაფერდებული სახნავ-სათესი სავარგული საძოვრადა გამოიყენება, რადგან დღევანდელი სერიული მანქანა-ტრაქტორები ამ დაფერდებულ მიწებს ვერ ამუშავებენ. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის მთაგორიან რაიონებში.

ეს გარემოება შეეხებოდა ერთ, კონსტრუქტორებისაგან, მანქანათმშენებლებისაგან ვითხოვოთ რაც შეიძლება დაიჩარჩინონ სამთომიწათმოქმედო საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფის საქმე.

ეს პრობლემა ყოველდღიურად რიდია მოტოვებული. იყო ცდები, რომ სერიული ნორმების ტრაქტორები სამთო ტრაქტორებად გადაეყვანთებინათ, მაგრამ ამან სასურველი შედეგები ვერ გამოიღო.

შიგაწვის ძრავიანი ტრაქტორების წევითი სიმძლავრეების ცალკეულ ფერდობზე ოპტიმალურად გამოყენებისათვის როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთელი სპეციალისტების მიერ შემუშავებულია მრავალი სქემა და მოსაზრება. ბოლო დროს კი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ თვლებიან ტრაქტორებსა და თვითმავალ მასებს, რომელთა ორკოპუნი ავტომატურად ინარჩუნებს მუდმივ სწორ მდგომარეობას. ასეთებია „ტ-50“, „ტ-40.ნ“ და სხვა. მაგრამ ვერც მანქანები მუშაობენ სრულყოფილად ეროზიის საწინააღმდეგო ფერდობის ბასწორივ ნიადაგის დამუშავებაზე.

და აი, „საქსახკომსოფლტექნიკის“ ასპინძის რაიონსო ენერგეტიკა-მექანიზატორმა დ. ცაგარეიშვილმა შეიმუშავა სამთო ტრაქტორის ორიგინალური სქემა, რომლის მიხედვითაც ამავე ორგანიზაციის სახელოსნოში აიგო ექსპერიმენტული ნიმუში-მოდელი. ეს არის სერიული მუხლუხებიანი და თვლებიანი ტრაქტორების „ჰიბრიდი“, რომლის მთავარი ნაწილებია: ჩარჩო, მასზე შემოდებული ერთი უწყვეტი მუხლუხ ჯაჭვი, მუხლუხის შიგნით ჩარჩოზე დამაგრებული ძრავი გადაცემათა კოლოფითა და ტრანსმისიით, განმბჯენი ოთხი თვალი და საჭირო მექანიზმი.

განმბჯენი თვლები გამოყენებულია, როგორც დამატებით საყრდენებად მანქანის ვერტიკალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ისე ტრაქტორისთვის მიმართულების მისაცემად.

დ. ცაგარეიშვილის ზემოაღნიშნული გამოგონება, ჯერ კიდევ 1970 წელს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სამეცნიერო-ტექნიკურმა საბჭომ დადებითად შეაფასა. მალე დ. ცაგარეიშვილმა თავის გამოგონებაზე მოსკოვიდან საავტორო მოწმობაც (№ 399492) მიიღო, მაგრამ საქმე ამის იქით აღარ წასულა.

თუმცა გამოგონებიდან ხუთი წლის შემდეგ, როცა საკავშირო სამეცნიერო-პოპულარულმა ილუსტრირებულმა ჟურნალმა („გაქმედონებელი და რაციონალიზატორი“) თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა ინკინერ ა. ერმოლოვის სტატია — „სამთო მხვნელი ერთ მუხლუხაზე“, რომელსაც დ. ცაგარეიშვილის ფერდობზე მავალი ტრაქტორის ფოტოილუსტრაციაც ახლდა, საკითხი იმდენად პოპულარული გახდა, რომ საკავშირო სატრაქტორო კვლევითმა ინსტიტუტმა ადგილზე ტრაქტორის გასაცნობად მეცნიერი მუშაკი მოავლინა. 1975 წლის აგვისტოში კი ამავე ინსტიტუტის დირექციამ ოფიციალური მომართვით რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარეს დ. სარიშვილს სთხოვა შეესწავლათ და გამოეცადათ დ. ცაგარეიშვილის გამოგონება.

მიმართვაზე „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანებიდან მოსკოვს აცნობეს, რომ წარმოებაში დ. ცაგარეიშვილის გამოგონების დასანერგად საჭირო იყო ექსპერიმენტული საქარხნო ნიმუშის დამზადება.

მას შემდეგ კიდევ ოთხი წელი გავიდა. მაგრამ პრაქტიკულად დ. ცაგარეიშვილის ფერდობმავალი ტრაქტორის საცდელი საქარხნო ნიმუშის დასამზადებლად არავის არაფერი არ გაუკეთებია.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ერთობლივმა სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მექანიზაციის სექციის სხდომამ 1977 წლის 25 ნოემბერს მესამედ განიხილა დ. ცაგარეიშვილის გამოგონების საკითხი. მიზანშეწონლად ჩაითვალა ამ ტრაქტორის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და საცდელი ნიმუშის დამზადება, მაგრამ არც ეს დადგენილება შესრულდა. ან კი როგორ შესრულდებოდა, როცა იგი მოკლებული იყო კონკრეტულობას. დადგენილებაში არაფერი იყო ნათქვამი თუ ვის უნდა შეედგინა ტექნიკური დოკუმენტაცია, ვის და რომელ ქარხანაში უნდა დაემზადებინათ ამ ტრაქტორის საცდელი ნიმუში და ბოლოს, ვის უნდა დაეფინანსებინა ეს სამუშაოები.

გამოგონება თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ შარშან მისმა ავტორმა ინდოეთიდან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო. „ძვირფასო ბატონო ცაგარეიშვილო.

დიდად გავიხარე, როცა წერილი წავიკითხე თქვენი ტრაქტორის შესახებ, რომელიც დახურათებული და განმარტებულია ჟურნალ „საბჭოთა კავშირის“ 1978 წლის მე-3 ნომერში.

როგორც ჟურნალში არის მოხსენიებული, თქვენს სამუშაო სახელოსნოში აგებულ ტრაქტორს შეუძლია ხვნა, ფარცხვა და თესვა მხოლოდ ერთი სავალი მუხლუხით და თანაც ეს შეუძლია ისეთ ფერდობზე, სადაც მხოლოდ თხები თუ გადიან, ამან დამაინტერესა უფრო მეტად, ვინაიდან მე ტყეების მოიჯარე ვარ და ვისაზრვებდი ასეთი ტიპის მანქანის გამოყენებას ჩემი ტყის ფართობებში.

დიდად მადლობელი დავრჩები, თუ გაგზავნით ტრაქტორის დაწვრილებით აღწერილობას ფოტოსურათთან ერთად.

კეთილი სურვილებით,

აჰმილეშ მანგლიჰ“.

● ●

იქნებ ახლა მაინც გვიპასუხონ „საქსახკომსოფლტექნიკამ“ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კიდევ როდემდე იქნება დაკონსერვებული ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი გამოგონება? სხდომებიდან, დადგენილებებიდან და სტატუებიდან კონკრეტულ საქმეზე როდის გადავლენ და როდის დაამზადებენ ფერდობმავალ ტრაქტორის საცდელ ნიმუშს? ცხონ წელი, რაც ამ გამოგონებიდან გავიდა, ნუთუ ცოტაა იმისათვის, რომ საქმე ადგილიდან დაიძრას?

შ. მაისურაძე,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

გვეტყობინებენ ხაკძლისა და ცხალი ამბების ხაკაგენტოს კორესპონდენტები

გმოზენ ჩინეთის პროვოკაციებს

პანოი, 11 აგვისტო. ამ ერთ თვეში ჩინეთის მხარემ ასზე მეტი შეიარაღებული პროვოკაცია მოაწყო ვიეტნამის საზღვრის მთელ ხაზზე კუანგნინიდან ლაოტიაუმდე. მათ შორის მრავლად იყო დიდი შეიარაღებული თავდასხმები, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეთა ხოცვა და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

უნდა აღინიშნოს, წერს გაზეთი „კუან დოი ნიან ზანი“, რომ ამ პროვოკაციებს სულ უფრო ხშირად სჩადიან და მათი მასშტაბი იზრდება. ჩინეთის მხარე თავს არიდებს სასაზღვრო რაიონებში შეიარაღებული აქციების შეწყვეტის შესახებ მორიგების თაობაზე ვიეტნამის წინადადების განხილვას, და სულ უფრო მეტად აძლიერებს დაძაბულობას საზღვარზე. ამავე დროს პეკინელი ლიდერები განუწყვეტლივ იმეორებიან, რომ „დასჯიან ვიეტნამს“ და „კიდევ ერთხელ ასწავლიან ჭკუას ვიეტნამელებს“. უფრო მეტიც, შეიარაღებული პროვოკაციების ესკალაცია ემთხვევა ვიეტნამის ნაპირების მახლობლად ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტის ძალის დემონსტრაციას.

აშკარაა, ხაზს უსვამს „კუან დოი ნიან ზანი“, რომ პეკინელმა რუაქციონერებმა პირი შეკრეს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებთან და ამტომაც აძლიერებენ ვიეტნამისადმი მტრულ მოქმედებას. სწორედ პეკინის ბრალია, რომ ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე ასე გამწვავდა ვითარება, რაც საფრთხეს უქადის სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მშვიდობას და უშიშროებას.

ამზადებენ მორიგ რაუნდს

ლუანდა, 11 აგვისტო. როგორც პრეტორიიდან იუწყებიან, იქ ჩასული ინგლისის მთავრობის საგანგებო დესანი ჯ. მიუერი. მისი ამოცანაა მოამზადოს მორიგი რაუნდი დასავლეთის ხუთი სახელმწიფოს—ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და კანადის საიდუმლო მოლაპარაკებისა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობასთან ნამიბიის პრობლემის „მოწესრიგების“ თაობაზე.

იმპერიალისტური სახელმწიფოები, აღნიშნავენ აქ პოლიტიკური მიმომხილველნი, პირის კრავენ პრეტორიის რასისტებთან და ცდილობენ დაჩქარონ მათთვის სასურველი „შინაური მოწესრიგება“, რათა შეუნარჩუნონ პოზიციები სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, ამ ბუნებრივი რესურსებით მდიდარ და სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან ქვეყანაში. ამასთან ისინი ცდილობენ ნამიბიის გარშემო ატეხილი პოლიტიკური მაქინაციები „დაშომშინების ღონისძიებებად“ გასაღონ.

დასავლეთის „ხუთეულის“ საიდუმლო კონტაქტები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ნამიბიის საკითხზე დაიწყო 1977 წლის აპრილიდან. საგულისხმოა, რომ „მშვიდობის მაძიებლებმა“ ამ ტერიტორიის მომავლის გადაწყვეტაში მონაწილეობას ჩამოაშორეს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაცია.

„რუსთავი“ შვეიცარიაში

ჟენევა. „მშვენიერი სანახაობა!“, „რა უდიდეს კმაყოფილებას განიჭებს ეს ცეკვები, ამ სიმღერებისა და მუსიკის მოსმენა“, „ამ საღამომ გადაგვიყვანა შორეულ ქვეყანაში, რომლის ხელოვნება გხიბლავს“. შვეიცარიის პრესაში ასეთი გამოხმაურებები დაიბეჭდა ქალაქ მონტრეში საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „რუსთავის“ გამოსვლების გამო.

მხოლოდ ერთ საღამოს აჩვენა შვეიცარიაში თავისი ხელოვნება ამ მხატვრულმა კოლექტივმა, რომელიც ახლა მოგზაურობს მეზობელ საფრანგეთში. მაგრამ ამ ერთადერთმა სპექტაკლმაც მოხიბლა მონტრის — ჟენევის ტბის ნაპირზე მდებარე საკურორტო ქალაქის, ოგრეთვე მეზობელი ქალაქების ლოზანისა და ვევეს მცხოვრებნი, სადაც ჩამოვიდა ბევრი შვეიცარიელი, რათა გასცნობოდა ქართველი ხალხის სიმღერებსა და ცეკვებს.

50 მსახიობი, რომელთაგან ძნელია ვინმეს გამოყოფა, დიდი პროგრამა, მაგრამ რომელ ნომერს მიანიჭო უპირატესობა, თუ სხვებიც კარგია, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს გაზეთ „ვენტ-კატრ ერის“ მომომხილველმა ყან-პიერ პასტორომ, რომელიც დაესწრო მეტალურგთა ქალაქ რუსთავის ანსამბლის სპექტაკლს. „შრომის სიმღერაც“, „იავნანაც“, „მთიულური სიუიტაც“, ძველებური ქორალებიც, ვაჟთა ცეცხლოვანი ცეკვებიც პირდაპირ აღტაცებას იწვევს, წერს გაზეთი.

თითოეულ ცეკვას, თითოეულ სიმღერას მაყურებელი მჭუხარეტაშით ხვდებოდა. საერთო აზრით, ქართული ანსამბლის გამოსვლა იყო მკაფიო მოვლენა მონტრის წლევანდელ საკონცერტო სეზონში.

ქარიკატურისტის თვალით

ამერიკის შეერთებულ შტატებში მილიტარისტული წრეები ცდილობენ თავს მოახვიონ კონგრესს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამხედრო ახიგნებათა მკვეთრი გადიდება და გამალებული შეიარაღების შემდგომი ზრდა.

(გაზეთებიდან).

— ბატონებო! გირჩევთ ხელშეკრულების დამტკიცების დროს ეს კალამიც გამოიყენოთ!..

ბ. ლომბიძის ნახატი.

საერთაშორისო ცხოვრება

ტელეფოტოს ჩარჩოში

კაპიტალიზმი შეულამაზებლად

ისრაელის ხელისუფალნი აძლიერებენ ტერორსა და რეპრესიებს არაბი მოსახლეობისა და პალესტინელი პატრიოტების წინააღმდეგ, რომლებიც პროტესტს აცხადებენ დაპყრობილი არაბული მიწების ანექსიის პოლიტიკის გამო.

სურათზე: ოკუპანტები მზად არიან მოსახლეობის დასაწიოკებლად.

სამხედრო ფოტოქრონიკა.

ამერიკელ ექიმთა ... ...

ბრონქსი (ნიუ-იორკის შტატი), 11 აგვისტო. აქ საქალაქო კოლეჯის შენობის წინ საზეიმოვითარებაში გაიხსნა ორი სკულპტურული კომპოზიცია, რომლებიც ეკუთვნის საბჭოთა მონუმენტალისტ მხატვარს, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს **ზურაბ წერეთელს.** მისი ნამუშევრები საბჭოთა მთავრობამ ძღვნად გადასცა ბრონქსორტის კოლეჯის სტუდენტებსა და მასწავლებლებს, მათი სახით კი მთელ ამერიკელ ხალხს. საბჭოთა მხატვრის ქანდაკებანი სპორტული კომპლექსის გაფორმების მთავარი შემადგენელი ნაწილი გახდა.

„ბედნიერება მსოფლიოს ყველა ბავშვს“— ასე ეწოდება ერთერთი ნაწუკარ ქანდაკებას, რომელიც ეძღვნება ბავშვის საერთაშორისო წელს. წითელი გრანიტით მოპირკეთებული მრგვალი პლატფორმის ცენტრში არის შადრევანი. მის გარშემო აღმართულია ერთნაირი ფორმის ცხრა მეტრამდე სიმაღლის ვერტიკალური ფიგურები, რომლებიც ხუთი კონტინენტის ბავშვთა ფერხულს გამოხატავენ.

მეორე ნაშრომი — „მსოფლიოს — სინათლე და ცოდნა“ — ეძღვნება მთელი მსოფლიოს სტუდენტებს, ახალგაზრდობას.

როცა ძღვენი მიიღო, კოლეჯის პრეზიდენტმა ა. ბრაუნმა დიდი მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ ამერიკის უნივერსიტეტს გადაეცა ხელოვნების ძვირფასი ნაწარმოებები, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ამბავი ხელს უწყობს ორი ქვეყნის ხალხთა დაახლოებასა და მათი ურთიერთგაგების გაუმჯობესებას.

ეს ძღვენი ცხადყოფს საბჭოთა ადამიანების კეთილშობილებას, სიკეთესა და უანგარობას, განაკვეხდა გახსნ

ფიქრები აღზრდაზე

როგორ აღვძრათ წყურვილი ცოდნისა?

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიაში უკვე რამდენიმე წელიწადია მიმდინარეობს ექსპერიმენტი. სწორედ ექსპერიმენტულ სწავლებას ეძღვნებოდა შ. ამონაშვილის წერილი, რომელიც ამას წინათ სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვ. სტოლეტოვის კომენტარით გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნდა.

ქვემოთ ვბეჭდავთ შ. ამონაშვილის ახალ წერილს, რომელიც მან გაზეთ „კომუნისტისათვის" მოამზადა. აქვე ვაქვეყნებთ აგრეთვე პრეზიდენტ ვ. სტოლეტოვის კომენტარს.

— სავალდებულო საშინაო დავალებას არ გაძლევთ. თუ სურვილი გექნებათ, შეასრულეთ რამე საშინაო დავალება ნებისმიერ საგანში და ფორელებზე დაწერეთ. ნიშნებს არ დაგიწერთ! — ამას ამბობს თბილისის ერთერთი საშუალო სკოლის საკონტროლო (ჩვეულებრივი) III კლასის მასწავლებელი. იგივე ინსტრუქცია მისცა მოსწავლეებს თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელმაც.

და აი შედეგი: საკონტროლო კლასის 36 მოსწავლე დავალებას ფორმალურად მოეკიდა. მხოლოდ რამდენიმემ ამა თუ იმ სახელმძღვანელოდან რაღაც ტექსტი გადაწერა, ან მარტივი მათემატიკური ამოცანა ამოხსნა. კითხვაზე, თუ რატომ არ შეასრულეს დავალება, მოსწავლეები გვიპასუხებდნენ: რატომ უნდა შეგვასრულებინა, ეს ხომ საავალდებულო არ იყო?

სხვა მდგომარეობაა ექსპერიმენტულ კლასში. თითქმის 47-ვე მოსწავლემ ორი, სამი ან ოთხი დავალებაც შეასრულა. ვინ საკუთარი ლექსი ან მოთხრობა დაწერა, ვინ — რუსულიდან თარგმნა, მათემატიკური ამოცანები შეადგინა და ამოხსნა, თემატური ალბომი გააფორმა, დახატა, ავდილის გაზეთი გამოუშვა. „რატომ შეასრულეთ ამდენი დავალება?" — ვკითხებოდით ბავშვებს. „ხანდერეფსა ასეთი რამეების კითხება და იმიტომ!" — გვიპასუხებდნენ ისინი.

რით აიხსნება სასწავლო მუშაობისადმი მოსწავლეთა ასეთი გაუსხვავებელი დამოკიდებულება? სწორედ იმით, რომ ერთ შემთხვევაში მოსწავლის სასწავლო შრომის რეგულაციის ნიშანი აზდენდა, მეორე შემთხვევაში კი ცოდნისადმი აქტიური შემეცნებითი ინტერესი. ეს კი გამოიწვია სწავლების ხასიათმა და სასწავლო მასალის ორგანიზაციის სპეციფიკამ. ერთ შემთხვევაში ცოდნას გადასცემდნენ, მეორე შემთხვევაში მართავდნენ მოსწავლეთა სასწავლო აქტიურობას; ერთ შემთხვევაში აიძულებდნენ მოსწავლეებს, რომ ესწავლათ, მეორე შემთხვევაში ფოვიდებდნენ ცნობისმოყვარეობას და ასწავლიდნენ ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას.

„ბავშვმა კი არ უნდა „მოიხადოს" სწავლება, არამედ უნდა იცხოვროს სწავლებით" — ამბობდა ცნობილი საბჭოთა ფსიქოლოგი ა. ნ. ლეონტიევი. რას ნიშნავს „იცხოვროს სწავლებით"? ეს მოსწავლის ისეთი სასწავლო მოქმედებაა, რომელსაც საკუთარი მოტივები — შემეცნებითი ინტერესები, ცოდნისადმი მისწრაფებები აღძრავს. მოსწავლე მაშინ „იხდის" სწავლებას, როცა სწავლობს იძულების, ნიშნების, დაპირებების, მშობლების სიმკაცრის გამო. როგორც უნდა ვეხმარებოდეთ მოსწავლეს სწავლაში, მისი ინტელექტისათვის ყველაზე მისაწვდომი ცოდნაც კი ამ პირობებში გადაულახავ სიძნელედ იქცევა; და პირიქით, პროგრამის უფრო რთული მოთხოვნები, „ძნელი" დავალებანი და კითხვები მიმზიდველობის ძალას შეიძენს, თუ მოსწავლეში ცოდნის წყურვილს აღვძრავთ.

ზოგს ჰგონია, რომ ახალი მეთოდიკა ხელაღებით უარყოფს ძველ კეთილ ტრადიციებს, მეთოდებს, ხერხებს, ამსხვრევს ყველაფერს, რაც ადრე იყო. სინამდვილეში კი აქ ლაპარაკია სწავლების ისეთ სტრატეგიაზე, როცა ცოდნის დაუფლების პროცესი ემყარება მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის, გაკვეთილზე მათი ემოციური ცხოვრების ფორმირებისა და მართვას, და არა მხოლოდ მეხსიერების ძალებს. ამ საქმეში გამოიყენება განსაკუთრებით ეფექტური მეთოდები და ხერხები, როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე, რომლებიც მთლიანობაში ახალ მეთოდიკურ სისტემას ქმნის.

თანამედროვე მეთოდიკის ერთერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბავშვებში სწავლის მიზანმიმართულ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამასთან ეს პროცესი არ შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ რჩევა-დარიგებებს, მოწოდებებს, საყვედურებს; აქ უფრო მთავარი უნდა იყოს თვით სასწავლო მოქმედების ხასიათი, სასწავლო მასალისა და გაკვეთილის ორგანიზაციის ფორმა, განსაკუთრებით კი — მასწავლებლის უნარი, რომ ბავშვთა მთელი სასკოლო ცხოვრება მათივე პოზიციიდან მართოს.

პედაგოგიკის ახლანდელი სახელმძღვანელოები, სამწუხაროდ, არ განიხილავენ სწავლის მოტივთა ფორმირების პირობებს, სწავლების ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც ძალუძს, რომ მოსწავლეს ცოდნის დაუფლება ერთერთ უმთავრეს მიზნად განაცდინოს. სამაგიეროდ სახელმძღვანელოებში მოცემულია ცოდნის გადაცემის, შეთვისებულის სმენტიციის შემოწმებისა და შეფასების პროცესებთან დაკავშირებული მკაცრი წესების აღწერა. ასეთი პედაგოგიკაზე ზოგჯერ ამბობენ, რომ იგი უბავშვოაო, მხედველობაში აქვთ რა სწავლისადმი მოსწავლეთა მოტივაციური დამოკიდებულების იგნორირება. მაგრამ ვ. ა. სუხომლინსკის ხომ გადაეკვა პედაგოგიკა მრავალშვილიანად, ხომ აღწერეს ამასვე ათასობით შემოქმედი პედაგოგი? სახელმძღვანელოები ჯიუტად უმტკიცებენ გვერდს ამ გამოცდილების განზოგადებას. გამოდის, ჩვენ უფრო მეტი ვიცით, როგორ გადაძოლოთ ბავშვი, რომ ისწავლოს, ვიდრე — როგორ აღვძრათ მასში სწავლის წყურვილი; მეტი ვიცით — როგორ გადავცეთ ცოდნა, ვიდრე — როგორ შეეიყვანოთ მოსწავლეები, როგორც ნ. კ. კრუპსკაია ამბობდა, „ცოდნის სამეფოში."

ბევრ მასწავლებელს ესმის ეს და შემოქმედებითად ეძიებენ მოწინავე პედაგოგიურ იდეებს. ალბათ ამ მისწრაფებით უნდა აიხსნას ის ინტერესიც, რომელსაც საზოგადოებრიობა იჩენს შინაარსობრივ შეფასებათა საფეხურზე აკეთებული სწავლების

ფიქრები აღზრდაზე

როგორ აღვძრათ წყურვილი ცოდნისა?

მიმართ, რასაც ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია ორგანიზებს.

ლაბორატორია 15 წელია იკვლევს უმცროსკლასელებში სწავლის მოტივთა ფორმირების პირობებს. ჩვენს გამოცდილებას, რა თქმა უნდა, არა აქვს პრეტენზია, რომ სრულყოფილი და უნიკალურია იყოს, მაგრამ შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სწავლების ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ახალი პროგრამების რაციონალურ აგებაზე, არამედ საერთო განვითარებისათვის ხელშეშყობ მეთოდიკაზე.

დავსახელებ ზოგიერთ ხერხს, რომლებიც, შესაძლოა, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილებისათვის არ არის უცხო, მაგრამ პრაქტიკაში გამოიყენება იშვიათად, როგორც კლასის „გახალისების" საშუალება.

მასწავლებელი დაფაზე წერს მესამეკლასელებისთვის საკმაოდ რთულ განტოლებას ამოხსნით.

— ყურადღებით დააკვირდით. მე სადღაც შეცდომა მაქვს დაშვებული და სწორ პასუხს ვერ ვღებულობ. სკადეთ მოძებნოთ ჩემი შეცდომა და გაასწოროთ ამოხსნა!

მასწავლებელი ყველას ურიგებს ფურცლებს, რომლებზეც ტექსტია დაბეჭდილი. ბავშვმა ფურცელი უნდა დაკიცოს, შეკრას და მიიღებს წიგნს საინტერესო მოთხრობით.

— თითოეული თქვენგანი წიგნის მხატვარია, — განმარტავს მასწავლებელი, — გააფორმეთ ყდა, თავისუფალ გვერდებზე დახატეთ მოთხრობის შინაარსი. სიტყვებს, რომლებიც გვერდების ქვემოთაა დაბეჭდილი, მიუწერეთ განმარტებანი, გამოიყენეთ ლექსიკონი. წიგნის ბოლოს დაწერეთ შინაარსთან დაკავშირებული კითხვები.

წიგნების გაფორმებაზე მუშაობა მთავრდება მათი განხილვით.

მშობლიურ და რუსულ ენებში ექსპერიმენტული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შედგენის გამოცდილებას, რაც ჩვენ დაგვიგროვდა, მოიცავს ბავშვის გონების გააქტიურებისა და მართვის საშუალებებს. ასეთი მასალები სხვა სამეცნიერო ცენტრებშიც არის შექმნილი. და აი მათ ფონზე გვიჩნდება კრიტიკული დამოკიდებულება დაწყებითი კლასების ბევრი შტამპური სახელმძღვანელოს მიმართ. რატომ მეგობრულად არ ესაუბრებიან ისინი ბავშვებს, არ ასწავლიან და აქეზებენ შემეცნებითი ძიებისათვის, არ განაცდევინებენ სიძნელეთა გადალახვით, „აღმოჩენით" გამოწვეულ სიხარულს? რატომ ქმაყოფილდებიან მხოლოდ ცოდნის პასიური ასახვით და მოსწავლეებს დასწავლის ჩარჩოებში აქცევენ? სასწავლო მასალის გამარტივების პირობა რატომ უნდა დავინახოთ მხოლოდ მის შემცირებაში და არა მოსწავლეთა მოტივირებული სასწავლო მოქმედების საგანგებო ორგანიზაციაში? ამიტომაც არის, რომ უმცროსკლასელები (და არა მარტო ისინი) ბევრი სახელმძღვანელოს მიმართ სიყვარულით არ არიან განწყობილნი.

ექსპერიმენტული სწავლების პროცესის ორგანიზაციისას ჩვენ ხშირად ვიშველიებთ კ. მარქსის აზრს მოსწავლეებისათვის საკითხის დასმის შესახებ. თავის ერთ-ერთ წერილში ფ. ლასალისადმი კ. მარქსი იწონებდა მასწავლებელს, რომელიც მოსწავლეებს შემდეგნაირად მიმართავდა: „... აქ წინააღმდეგობაა; ერთნი ამბობენ ასე, მეორენი — ისე; მე კი საკითხის არსზე არაფერი მაქვს სათქმელი, ნახეთ, აქნებ შეძლოთ თვითონვე გაერკვეთ! ასეთი მიდგომისას, — აგრძელებს კ. მარქსი, — მოსწავლეები, ერთის მხრივ, მიიღებენ გარკვეულ მასალას, მეორეს მხრივ კი — მიეცემოდა ბიძგი მათ დამოუკიდებელ მუშაობას".

ამ პრინციპით აგებული გაკვეთილები მოსწავლეებს აქეზებს დამოუკიდებელი შემეცნებითი აქტივობისათვის. ამასთან დაკავშირებით მოვიტანთ ჩვენი ექსპერიმენტული სწავლებისათვის დამახასიათებელ მაგალითს. მასწავლებელმა პირველკლასელებს დაავალა მოეძებნათ და შეესწავლათ ა. წერეთლის „რომელმე სანავარ ლექსი. მოსწავლეებმა სკოლაში რამდენიმე წიგნი მოიტანეს. მოულოდნელად გაკვეთილზე ორმა გოგონამ გაოცებით წამოიძახა:

— ნახეთ, ამ წიგნში „ვაშლი და შაქარას" ავტორი აკაკია, აქ კი — იაკობი!

რამდენიმე დღის განმავლობაში მასწავლებელი მართავდა უკვე მთელი კლასის აქტივობას. ბავშვებს მოჰქონდათ იაკობისა და აკაკის თხზულებათა ტომები. ი. გოგებაშვილის „დედა ენის" ერთ-ერთ პირველ გამოცემაში მათ იპოვეს იმავე შინაარსის ლექსი, პოეტურად დაუმუშავებელი, და არ მოეწონათ. მომდევნო გამოცემებში კი მათი ყურადღება მიიპყრო ლექსის საუკეთესო ფორმამ და გამომსახველობამ. და რადგან ავტორი არსად იყო მითითებული, ბავშვებმა ჰიპოთეზა ააგეს: იაკობი და აკაკი მეგობრები იყვნენ; იაკობმა სთხოვა მეგობარ პოეტს გაესწორებინა მისი ლექსი, რომელიც „დედა ენისთვის" დაწერა; აკაკიმ შეასწორა მეგობრის თხოვნა, მაგრამ ლექსის მითვისება არცერთს არ უნდოდა და მეგობრებმა გადაწყვიტეს იგი უავტოროდ დაბეჭდვინათ. „ლექსი არც იაკობისაა და არც აკაკის, ორივეესა!" — დაასკვნეს მოსწავლეებმა. უნდა გენახათ ის ემოციური დაძაბულობა, რასაც ისინი „საიდუმლოების" ამოხსნის პროცესში განიცდიდნენ!

სწავლა, რომელიც შემეცნებითათვის აუცილებელი მოტივაციური სტიმულირებითაა სავსე, მოსწავლისათვის ცხოვრების აზრს იძენს. მას აღარ სჭირდება იძულება, ის ისედაც გატაცებული აღმოჩნდება სასწავლო საქმეებით, „იცხოვრებს სწავლით".

ექსპერიმენტული კლასის მოსწავლეები პერიოდულად „ანგარიშს" აბარებენ მშობლებს: დეკემბრისა და მაისის ბოლოს ისინი გადასცემენ მათ პაკეტებს, რომლებშიც მათი სასწავლო შრომის ამსახველი მასალები აწყვია — საკუთარი მოთხრობები, ნახატები, ალბომიკეიები, ნახაზები, ზოგმატიკური ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნები; აქვეა დახასიათებები, რომლებიც მასწავლებელმა დაწერა და კლასმა მოიწონა. მშობლები აღნიშნავენ, რომ ექსპერიმენტული სწავლების ოთხი წლის მანძილზე მოსწავლეები იძენენ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვეულებ, ეხალისებათ სწავლა, ავლენენ მრავალმხრივ შემეცნებით ინტერესებს.

15 წლის განმავლობაში დაწყებითი ექსპერიმენტული სწავლება გაიარა ათასობით მოსწავლემ. ასობით მასწავლებელი ენთუზიაზმით ჩაება საცდელ მუშაობაში. მეოთხე კლასიდან მოსწავლეები სწავლების ჩვეულებრივ პირობებში ექცევიან. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები და მასწავლებლები აქ ერთმანეთს ძლივს ეგუებიან. ბავშვები მტკივნეულად განიცდიან იმას, რომ „აზრის სამეფოდან", სადაც შეიძლებოდა ედავათ, შეცდომა დაეშვათ, წამოიყენებენ ათ და დაეცვათ საკუთარი ჰიპოთეზები, ხვდებიან ისეთ სიტუაციაში, როცა უნდა უფრთხილდნენ არასასურველი ნიშნის მიღებას. მასწავლებლები კი საყვედურს გამოთქვამენ, რომ ბავშვები მეტად თავისუფლად იქცევიან, ბევრ რამეს ეჭვის თვალით უყურებენ, ნიშნების მიმართ გულგრილნი არიან. თუმცა ყოფილ ექსპერიმენტულ კლასებში მოსწავლეთა საერთო აკადემიური წარმატება უკეთესია, ვიდრე ჩვეულებრივ კლასებში.

ასეთი მდგომარეობა აღელვებს მასწავლებლებსაც და მშობლებსაც, რომლებიც აყენებენ საკითხს, რომ ექსპერიმენტული სწავლება შემდგომ საფეხურებზეც თანმიმდევრულად გაგრძელდეს.

საეციალური გამოკვლევებით დადგინდა, რომ კლასდან კლასში გადასვლისას მოსწავლეთა უმრავლესობას სულ უფრო უმძიმს სწავლის ტვირთი, სწავლობს უხალისოდ, ვიწრო პრაქტიკული მოსაზრებების ძალით, შემეცნებითი მისწრაფებანი კი სხვა შინაარსის მოგლენებისკენ აქვს მიმართული. სწავლების ეფექტიანობის ამაღლება მეორე და მესამე საფეხურზე, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მეტად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეგვიძლია, ყმაწვილს სწავლა ცხოვრების აზრად ვუქციოთ. ლაბორატორიაში დაგვიგროვდა გარკვეული გამოცდილება, რომ ეს საკითხები დაწყებითი სწავლების ფარგლებში გადაეწყვიტოთ. ვფიქრობთ, ცხოვრება გვიკარნახებს ასეთი კვლევის გაგრძელების აუცილებლობას საშუალო და უფროს კლასებშიც, რაც სათანადო დახმარებისა და ხელშეწყობის პირობებში იქნება შესაძლებელი.

შ. ამონაშვილი,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის გამგე.

სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვ. სტოლეტოვის

კომენტარი:

უკანასკნელ დროს პედაგოგები ადასტურებენ, რომ მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია ინტერესი საკუთრივ სწავლის პროცესისადმი. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სწავლების ახლანდელი მეთოდები სუსტადაა ორიენტირებული ცოდნის დაუფლების მოთხოვნილების, შემეცნებითი აქტივობის მიზანმიმართულ ჩამოყალიბებაზე. მით უფრო მნიშვნელოვანია ქართველ. მეცნიერთა მიერ მოპოვებული შედეგები. მათ დამუშავეს — ჯერ მხოლოდ დაწყებითი კლასებისათვის — ბავშვებში ცოდნისმოყვარეობის, სწავლის ხალისის აღზრდის ორიგინალური სისტემა. ეს ბავშვს უქმნის თვით ცოდნის მოთხოვნილების ფუნდამენტს, მისი შეთვისების მოტივებს, რომელთა ფესვები სასწავლო-შემეცნებითი ამოცანების შინაარსშია, და არა სასკოლო ცხოვრების გარეგნულ ვითარებებში. თეორიულ პლანში ასეთი ჩანაფიქრის კანონზომიერება დიდი ხანია დადგენილია. თუმცა იშვიათად შეინიშნება მისი პრაქტიკული რეალიზაცია.

მიგნებული სისტემა, რა თქმა უნდა, შემდგომ დაზუსტებას და უფრო ფართო შემოწმებას საჭიროებს. ამასთან ვანსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო მუშაობის სტიმულების არსებითად შეცვლას, კერძოდ კი მის შეფასებას როგორც მასწავლებლებისა და მშობლების, ისე თვით მოსწავლეთა მიერ. ასეთი შეფასება აქ უფრო მრავალმხრივ და მოქნილ ფუნქციებს იძენს, ვიდრე ჩვეულებრივი ნიშნები ხუთბალიანი სისტემის მიხედვით. მაგრამ მთავარია — შესაბამისი კვლევები აუცილებლად ჩატარდეს საშუალო სკოლის ყველა საფეხურზე, შესწავლილ იქნეს ცოდნისმოყვარეობის, სწავლის მოთხოვნილების განვითარება არა მხოლოდ უმცროსკლასელებში, არამედ ყმაწვილებშიც, უფროსკლასელებშიც.

სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად შეგვიძლია, ყმაწვილს სწავლა ცხოვრების აზრად ვუქციოთ. ლაბორატორიაში დაგვიგროვდა გარკვეული გამოცდილება, რომ ეს საკითხები დაწყებითი სწავლების ფარგლებში გადაეწყვიტოთ. ვფიქრობთ, ცხოვრება გვიკარნახებს ასეთი კვლევის გაგრძელების აუცილებლობას საშუალო და უფროს კლასებშიც, რაც სათანადო დახმარებისა და ხელშეწყობის პირობებში იქნება შესაძლებელი.

შ. ამონაშვილი,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის გამგე.

კომუნისტი

საკავშირო საკითხავი

ახალი ლიტერატურული

ქოსტა ხეთაგუროვი

ობლების დედა

წლეულს შემოდგომაზე აღინიშნება ოსური ლიტერატურის კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 100 წლისთავი. ქვემოთ ვბეჭდავთ პოეტის ცნობილ ლექსს, რომელიც დახატულია რევოლუციამდელი ოსეთის დუხჭირი ცხოვრების მძიმე სურათი.

✦✦ ✦✦

ზამთრის სუსხი ყინავს
ეკალ-ბარდზე ყორანს...
ნარს*) შავ კლდეზე სძინავს,
ლანდავს სიზმრის ორანს...

ღამე არის ტანჯულთ
სულის მძიმე დამწა...
კვარი ბეუტავს მარჯვნივ,
ძილ-ფხიზლობენ სადღაც...

ვხედავ ერთ ძველ ბოსელს,
მივიწყებულს ოხრად...
გამოეყო სოფელს
სახლი, ქვრივის ოხვრა.

რად გიბორკავს მზერას
ქვაბი, ცეცხლის ალი!..
დასტრიალებს კერას
შავოსანი ქალი.

დახე, ცეცხლთან მიჯრილ
ობლებს — კერის ირგვლივ!..
შიშველთ, მშიერთ, იჯრის
მოლოდინში მიყრილთ!..

შიმშილი და თოში
თავად მგელსაც რისხავს,—
სიკვდილს ხელის მოსმით
ასეთები მიპყავს.

— ნუ, ნუ სტირით!—და შავ
ცრემლს შეაშრობს დედა, —
ქვაბში ცერცვს ხომ
ვხარშავ!..
შეგახვედრებთ ყველას!..

ხრჩოლავს შავი კვამლით
თოვლიანი ღვია...
ცრემლი ქვაბში მალვით,
ღაპაღუპით ცვივა...

„არ პხვდეს ბედი არსად
მრჩენელს ჩვენსას აგრმეს!..
ზავაქვეშ წოლის ფასად
იმედებს რომ ანგრევს!..

მიგატოვათ ხუთნი...
ვაი, თქვენს ბედს და მზეს!..
ვაი, ობლის კუთვნილ
ჭერს დაქცეულს თავზე!..

ჭკუით მჯობნი, ვიცი! —
რომ გამექეცა, ქმარო! —
ობლებს არრეკ იქ ცივ
სამარის შავ ხარს!..

ჩვილი შვილი ვით მზეს
გიხმობს, — ელის შველას,—
მანდ შენს გვერდით რიგზე
მიგვიწვინე ყველა!"

ცრემლი ქვაბში მალვით,
ღაპაღუპით ცვივა...
ხრჩოლავს შავი კვამლით
თოვლიანი ღვია...

ტირილით ქანცგაცლილს,
უმცროსს — ბედით
წყეულს, —
ძილი ძალას აცლის
კაცთა შორის რჩეულს.

— ო, ეგ ქვაბი, გიცი,*)
ძირს ჩამოდგი ჩქარა!..
— ჩუმად!.. ცერცვი.. ვიცი
ყველასათვის კმარა...

დუღს, გადმოდუღს წყალი...
იხარშება „ცერცვი"...
ობლებს — სიტყვა წყნარი!—
და მიუწვენენ ცეცხლს წინ...

შიმშილი და ჯავრი
კაცს თუ დაღლის მწარედ,—
ძილი ღრმა აქვს, — დარდი
რჩება გულის გარეთ.

ლოგინად ქვეშ თივას
უფენს შვილებს დედა...
შესაფუთნად მივა
ძონძით... რაც ხელთ ხვდება.

სძინავთ ობლებს. — თავად
ფეხთით უზის მორთხმით...
დედა ცრემლს ღვრის შავად,
გულს ვერ იძლობს მოთქმით...
წელან უთხრა შვილებს, —
ცერცვს გაჭმეთო ვახშმად...
და ვერ უმხელს მშიერებს,
ქვაბში ქვებს რომ ხარშავს.
ცდა და ყველი სარჩოს
მიგვავიწყებს ზოგჯერ...
შიმშილი ყველს არ ცნობს,—
არ ტყუვდება ორჯერ!..

ოსურიდან თარგმნა
მიხეილ ბულკათმა.

*) ნარი— სოფელი, სადაც დაიბადა კოსტა ხეთაგუროვი.
*) გიცი — საალერსო „დედა".

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ:

უკანასკნელ დროს პედაგოგები ადასტურებენ, რომ მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია ინტერესი საკუთრივ სწავლის პროცესისადმი. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სწავლების ახლანდელი მეთოდები სუსტადაა ორიენტირებული ცოდნის დაუფლების მოთხოვნილების, შემეცნებითი აქტივობის მიზანმიმართულ ჩამოყალიბებაზე. მით უფრო მნიშვნელოვანია ქართველ. მეცნიერთა მიერ მოპოვებული შედეგები. მათ დამუშავეს — ჯერ მხოლოდ დაწყებითი კლასებისათვის — ბავშვებში ცოდნისმოყვარეობის, სწავლის ხალისის აღზრდის ორიგინალური სისტემა. ეს ბავშვს უქმნის თვით ცოდნის მოთხოვნილების ფუნდამენტს, მისი შეთვისების მოტივებს, რომელთა ფესვები სასწავლო-შემეცნებითი ამოცანების შინაარსშია, და არა სასკოლო ცხოვრების გარეგნულ ვითარებებში. თეორიულ პლანში ასეთი ჩანაფიქრის კანონზომიერება დიდი ხანია დადგენილია. თუმცა იშვიათად შეინიშნება მისი პრაქტიკული რეალიზაცია.

მიგნებული სისტემა, რა თქმა უნდა, შემდგომ დაზუსტებას და უფრო ფართო შემოწმებას საჭიროებს. ამასთან ვანსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო მუშაობის სტიმულების არსებითად შეცვლას, კერძოდ კი მის შეფასებას როგორც მასწავლებლებისა და მშობლების, ისე თვით მოსწავლეთა მიერ. ასეთი შეფასება აქ უფრო მრავალმხრივ და მოქნილ ფუნქციებს იძენს, ვიდრე ჩვეულებრივი ნიშნები ხუთბალიანი სისტემის მიხედვით. მაგრამ მთავარია — შესაბამისი კვლევები აუცილებლად ჩატარდეს საშუალო სკოლის ყველა საფეხურზე, შესწავლილ იქნეს ცოდნისმოყვარეობის, სწავლის მოთხოვნილების განვითარება არა მხოლოდ უმცროსკლასელებში, არამედ ყმაწვილებშიც, უფროსკლასელებშიც.

სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად შეგვიძლია, ყმაწვილს სწავლა ცხოვრების აზრად ვუქციოთ. ლაბორატორიაში დაგვიგროვდა გარკვეული გამოცდილება, რომ ეს საკითხები დაწყებითი სწავლების ფარგლებში გადაეწყვიტოთ. ვფიქრობთ, ცხოვრება გვიკარნახებს ასეთი კვლევის გაგრძელების აუცილებლობას საშუალო და უფროს კლასებშიც, რაც სათანადო დახმარებისა და ხელშეწყობის პირობებში იქნება შესაძლებელი.

შ. ᲐᲛᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის გამგე.

ᲙᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲨᲘ

ᲕᲐᲜᲘᲡ რაიონის სოფელ ᲕᲕᲘᲨᲘᲨᲘ, პატარა, ლამაზ სახლში 88 წლის წინათ დაიბადა სახელოვანი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

სახლ-მუზეუმს, სადაც შეგროვილია გალაკტიონის სიჭაბუკის წლებისა და მისი შემოქმედების ამსახველი ექსპონატები, ყოველდღიურად ასობით სტუმარი ეწვევა, ყურადღებას იპყრობს ექსპოზიცია, რომელიც მოგვითხრობს პოეტისა და მოქალაქის ცხოვრებაზე. სურათზე: გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმი სოფელ ᲕᲕᲘᲨᲘᲨᲘ.

Ი. ᲞᲝᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲠᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ „ᲠᲘᲬᲐ?"

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲡᲘᲮᲣᲛᲘᲡ შემოქმედებითი საზოგადოებრიობის ლიტერატურული კრებული „რიწა" (რედაქტორი პროფ. ო. ჭურღულია) რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება. მასში უმთავრესი ადგილი უჭირავს მხატვრულ პროზასა და ლექსებს. უფროსი თაობის პოეტთაგან ყურადღებას იპყრობს ჯ. ჩარკვიანის, ივ. თარბას, კ. ლომიას, გ. კალანდიას, სტ. მხარგრძელის, ტ. ჭანიასა და სხვათა ქართული ორიგინალური და აფხაზურიდან ნათარგმნი ლექსები.

განყოფილება „ახალგაზრდული ხმები" კი წარმოდგენილია ნ. გაბელაიას, შ. დგებუაძის, ბ. ბესელიას, მ. ეჯიბიას, გ. ძიძიგურის, მ. კალანდიას ნ. მეტრეველისა და სხვების პოეტური ნაწარმოებებით.

შ. ბასილაშვილის წერილს „უფლებათა უფლებას", რომლითაც კრებული იხსნება, უხდება დიმიტრი გულიას სტრიქონები:

„ქვეყნად ბნელეთის
დამამხობელი —
დროშა მიმიძღვის ელვად
გაშლილი!"...

ამქვეა დასტამბული ვლ. ჯოლოგუას, ნ. კვიწინას, ვლ. მიესბიშვილის, ჯ. ახუბას (თარგმანი რ. ჯაფარიძისა), რ. ჩიჩანიძის და გ. სულიკაშვილის მოთხრობები.

საიუბილეო თარიღებსადმი მიძღვნილი წერილები: ს. ცაიშვილისა — „შუშანიკის წამების" 1500 წლისთავი, ვლ. სოლუხინისა — ლ. ტოლსტოის დაბადების 150 წლისთავი, გ. ასათიანისა — ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავი.

აფხაზური ხალხური ეპოსის ნიმუშებიდან წარმოდგენილია „ამბავი ნართებისა" (თარგმანი გ. ბაქანიძისა). ამ შესანიშნავი ძველსაიერი ეპოსის აფხაზური ვერსიების სრული ქართული თარგმანი ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა და გამოსაცემად მზადდება.

კრებული შეიცავს საარქივო და მოგონებითი ფაქტებითაც საყურადღებო ნარკვევებსა და წერილებს (ვ. ფაჩულია, ო. ჭურღულია, რ. სალია).

საგანგებოდ გამოვყოფთ ლერი ალიმონაკის წერილსა (გვ. 147-155) და ტერენტი გრანელის (კვირკველია; 1897-1934) ლექსების პუბლიკაციას (156-160).

ლ. ალიმონაკი ტ. გრანელს 1898 წ. 3 ივნისს (ძვ. სტ) დაბადებულად თვლის. თბილისის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ჯერ კიდევ დაცულ ძეგლს კი აწერია:

„ᲢᲔᲠᲔᲜᲢᲘ ᲒᲠᲐᲜᲔᲚᲘ

1897-1934

არა სიცოცხლე,
არა სიკვდილი,
არამედ რაღაც სხვა".

ეს მეორე თარიღი უფრო სარწმუნო ხომ არ არის?

ჩვენ ამ საფლავს წავაწყდით ცნობილი მთარგმნელის პანტელიმონ პეტრენკოს დედის — ანა ევსიხის ასულ ტიხონოვას (1875. 1.6. — 1938. XII. 22) საფლავის ძეგლის დროს. ორივე ახლოს მდებარეობს ერთიმეორესთან.

მაშინ კიდევაც დავაყენეთ საკითხი ტ. გრანელის ნეშტის დიდების პანთეონში გადმოსვენებისა, მაგრამ ეს არ განხორციელდა. ამას წინათაც ვინახულეთ ხსენებული ეს ინტერესიც, რომელსაც საზოგადოებრიობა იჩენს შინაარსობრივ შეფასებათა საფეხურზე აკეთებული სწავლების

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ცხელ დღეებში ბორჯომის ხეობას ვესტუმრე და ხალხური მარგალიტების მაძიებელ ათ სტუდენტთან ერთად კვლავ მოვიარე მისი აყვავებული დაბა-სოფლები. შევხვდი ხანდაზმულ და ახალგაზრდა ადამიანებს, თავკაცებს, კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, პედაგოგებს. გავეცანი მთის სოფლების მჩქეფარე ცხოვრებას, მოვინახულე ძველი ძეგლები, ზოგი სათუოდ მოვლილი, ზოგიც უყურადღებოდ მიტოვებული. გვქონდა კომპლექსური ექსპედიცია: ვაკვირდებოდით ადგილობრივ მეტყველებას, ვკრებდით დიალექტურ და ფოლკლორულ მასალებს. თითქმის მთლიანად აღვწერეთ მ

ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲮᲐᲠᲘ“

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲝ!

ᲛᲣᲓᲐᲛ ხალხმრავლობაა სოხუმის კომკავშირის XV ყრილობის სახელობის ტურისტულ ბაზაში.

აფხაზეთის ზღვისპირეთის ამ უმშვენიერესმა კერამ, მომსახურე პერსონალის დაუღალავი შრომის შედეგად როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც ფართოდ გაითქვა სახელი. სწორედ ამიტომაც ამ გულთბილმა კოლექტივმა საბჭოთა კავშირის ტურისტულ ბაზებსა და სასტუმროებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ მეცამეტეჯერ გაიმარჯვა, საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია დაიმსახურა.

ზაფხულის ამ ცხარე დღეებში სხვადასხვა მარშრუტით ასობით მოგზაურობის მოყვარული მოეშურება აქეთკენ.

— ტურისტული ბაზა, — გვეუბნება მისი დირექტორი, გამოცდილი ორგანიზატორი გ. მეშველიანი, — ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა საზაფხულო სეზონს. ჩვენმა კოლექტივმა გასაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა წელს. სწორედ დაგამთავრეთ ტურბაზის პირველი კორპუსის სრული რეკონსტრუქციის საშუშაოები. გემოვნებით მოპირკეთდა აივნებისა და საწოლი ოთახების კედლები, ჭერი. გამოიცვალა კარ-ფანჯრები, იატაკი, განახლდა სანიტარიული კვანძები, დაიდგა ახალი ავეჯი, კეთილმოეწყო პლაჟი. ასევე შეკეთდა და კეთილმოეწყო ტურბაზის მეორე კორპუსი და კოტეჯები. ბაზაში ამ წლის განმავლობაში 200 ათასზე მეტმა ტურისტმა დაისვენა. ამჟამად აქ ათასამდე კაცი იკაჟებს ჯანმრთელობას, მათ შორის ასზე მეტი ჩეხი და გერმანელი ტურისტია.

ტურისტულ ბაზაში წელს კიდევ ერთი დიდი ღონისძიება განხორციელდა — გაშენდა და კეთილმოეწყო ტურბაზის შესანიშნავი ფილიალი „სამხრეთის თავშესაფარი“, რომელიც ქლეხორის უღელტეხილთან, მდინარეების კლიჩისა და კოდორის სათავეებს შუა, ზღვის დონიდან 1350 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. სოხუმიდან ასობდე კილომეტრით დაშორებული ნავენარითა და ფიჭვნარით შემოსილი ეს მიდამო კიდევ უფრო მიმზიდველი და თვალწარმტაცია ამ დღეებში. დამსვენებლებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბუნების ამ შესანიშნავი საჩუქრით — უხვად მიიღონ ნარზანის ტიპის წყლების თბილი ზხაპი. აქ ახლა აქვთ ახალი სასადილო, გაყვანილია წყალსადენი, კანალიზაცია. აშენდა ორ-ორ სართულიანი 9 საძინებელი კორპუსი, რომლებიც ერთდროულად 200 ტურისტს მოემსახურება; კეთილმოეწყო სავალი ბილიკები.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ტურბაზაში სოხუმის, ჩვენი სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობაც ისვენებს ხოლმე. მათ შეუძლიათ კვირაში ორ-ორი დასვენების დღე გაატარონ ამ შესანიშნავ მთის კუროორტზე. ამ მიზნით აქ დამატებით დაიდგა საძინებელი კოტეჯები 100 კაცისათვის. მგზავრების ოპერატიული გადაყვანისთვის ტურბაზის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულება გააფორმა სოხუმის აეროპორტთან. დღეში სამჯერ სოხუმის აეროპორტიდან „სამხრეთის თავშესაფრამდე“ იფრენენ ვერტმფრინავები. ტურბაზაში მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ აგრეთვე ამ ფილიალის 3 და 10 დღიანი საგზურები.

სოხუმის ტურბაზის მასპინძლთა ნაყოფიერ მუშაობას თვალსაჩინოდ ასახავს აქაური შთაბეჭდილებათა წიგნი. სადაც ბევრი გულთბილი ატრაქონებია ჩაწერილი.

„გმადლობთ თქვენ, სოხუმელო მასპინძლებო!“... წერენ ისინი ამ კოლექტივის ხელმძღვანელებსა და მუშაკებს გიგი მეშველიანის, გიორგი მალანიას, ბორის პაჭკორიას, ელიკო ჩალაძის, ვალენტინა როგაჩოვას, ლუსია ასლანიანის, ლიო არქანიას, ლუსია ზანთარიას, როზა მუსოიანის და სხვათა მისამართით. შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერილი მადლობის სტრიქონების ავტორები არიან მაგადანელები და ვლადივოსტოკელები, მოსკოველები და ლენინგრადელები, კიეველები და ბაქოელები, ერევნელები და თბილისელები, რომლებიც აქ ისვენებენ და იკაჟებენ ჯანმრთელობას.

Ი. ᲒᲝᲒᲔᲩᲘᲐ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—79

ᲐᲥ ᲝᲮᲐᲮᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). მწვანე კონცხის მარადმწვანე პლატოზე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მახლობლად შორიდანვე თვალს იტაცებს თეთრად მოქათქათე მრავალსართულიანი შენობა. ეს გახლავთ საოჯახო დასასვენებელი სახლი „მწვანე კონცხი“, რომლის მშენებლობა ახლახან დამთავრდა. იგი მიეძღვნა ბავშვთა საერთაშორისო წელს. მშენებლებმა — № 5 ტრესტის № 1 სამმართველოს კოლექტივის წევრებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს, რომ „მწვანე კონცხით“ ყველა დამსვენებელი კმაყოფილი დარჩენილიყო.

— ჩვენი ჯანმრთელობის კერა, — თქვა სახლის დირექტორმა ბ. შარაბიძემ. — საოჯახო დასვენებისთვის არის განკუთვნილი. აქ ყველა პალატა ორადგილიანია, ყველას აქვს საშხაპე. ოთახებში მოსახერხებელი, ლამაზი ავეჯია დადგმული. ერთ-ერთ ზღვისპირა მთაზე აღმართული შენობის მთავარი ღირსება ის არის, რომ უკლებლივ ყველა საძილე ოთახი ზღვას დაჰყურებს. ცალკე კორპუსში მოთავსებულია კინოდარბაზი, ბიბლიოთეკა. სათამაშო ოთახები.

აქ ერთმანეთს ერწყმის იშვიათი სამკურნალო ფაქტორები: ზღვა და მარადმწვანე წიწვოვანი ტყეები. დასასვენებელი სახლი უწყვეტი კალენდარით, მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს. იგი ერთდროულად 110 კაცს მიიღებს.

„მწვანე კონცხმა“ უკვე მიიღო პირველი დამსვენებელი.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲒᲣᲠᲯᲘᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ

11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ თბილისში სადღესასწაულოდ მორთული ავტომანქანების კოლონამ ჩამოიტანა გურჯაანელთა ნობათი—ქარვისფერი ატამი და სურნელოვანი საზამთრო, თურაშაული ვაშლი და გულაბი მსხალი, რომლებიც მოიყვანეს გურჯაანის რაიონის სახელოვანმა მოწამოქმედებმა — სოციალისტური შრომის გმირმა ქ. ბურძანაშვილმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. ქენქიშვილმა და სხვა უხვი მოსავლის ოსტატებმა. — წელს სანაქებო მოსავალი მოვიყვანეთ, — თქვა სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. უტიაშვილმა. ას ტონამდე ხახვი, ლობიო და სხვა ბოსტნეული გამოუგზავნეს ჩუმლაყელებმა დღეს თბილისელებს.

სულ ამ დღეს გურჯაანის რაიონიდან თბილისელებს 150 მანქანით ჩამოუტანეს 700 ტონაზე მეტი ხილი, საზამთრო, პამიდორი და სხვა ბოსტნეული.

ᲗᲐᲡᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘᲐ!

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. ვ. ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ. 60.000 ᲛᲐᲧᲣᲠᲑᲔᲚᲘ. ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ: „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ)-„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — 4:5 (120 ᲬᲣᲗᲘ — 0:0).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ): გონტარი, ლოგჩიევი, ნიკულინი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი, კოლეხოვი (პავლენკო), მინაევი, ტოლსტიხი, მაქსიმენკოვი, გაზაევი.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ): გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი (კაკლაშვილი), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორაძე (ყიფიანი), გუცაევი, გ. მაჩაიძე, შენგელია.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

ᲒᲝᲚᲘᲡᲘ: თბილისელთაგან (ჩივაძე, დარასელია, შენგელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე), მოსკოველთაგან (მაქსიმენკოვი, პავლენკო, ბუბნოვი, ტოლსტიხი).

საფინალო შეხვედრა რომ უშედეგოთო, დაძაბული და ნერვიული იქნებოდა, წინასწარ იცოდა ყველამ. მოლოდინი გამართლდა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეები ჩინებულად იცნობენ ერთმანეთს, მატჩი მაინც დაზვრვით დაიწყო, ფეხბურთელები ფრთხილად მოქმედებდნენ და მთელ მოედანზე ფეხდაფეხ დასდევდნენ ერთმანეთს.

თბილისელებმა თავიანთი ტაქტიკა კონტრშეტევაზე ააგეს და ოთხი ნახევარმცველიც მატომ გამოიყენეს. ერთი კია — პირველ წუთებზე მ. მაჩაიძე ოდნავ წინ იყო წაწეული, მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ მოსკოველები მოედნის ცენტრში რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდნენ და კაპიტანმაც უკან დაიხია. და მაინც, ამჯერად თბილისელებმა ვერ მოახერხეს თავიანთი მთავარი კოზირის გამოყენება — ბურთის დაჭერა. მოსკოველებმა კი ნელ-ნელა უფრო გამიზნული მოქმედება დაიწყეს და თანდათანობით არათუ ტერიტორიული, სანებზე სამარისებური სიჩუმეა, მინდორზე კი ნუფარ იკითხავთ... გამოცდაც ამას ჰქვია...

პირველად თბილისელები არტყამენ. ყიფიანის გამორბენი და მარცხენა, დაბალ კუთხეში გონტარი ბურთს იგერიებს. არტყამს მახოვიკოვი და ამჯერად გაბელიას ბრწყინვალე ნახტომი იმარჯვებს. გუცაევი... დარტყმა... გონტარი კვლავ ადგილზეა. მაქსიმენკოვი მიზანს აღწევს... ზუსტად ურტყამს ჩივაძეც, პეტრუშინის პენალტს კი კვლავ იღებს გაბელია. ამის შემდეგ წარმატებას აღწევენ დარასელია, პავლენკო, შენგელია და ბუბნოვი — 3:3. არც 5-5-მა პენალტმა უშველა საქმეს. ახლა პენალტების სერია მანამდე გაგრძელდება, სანამ ტოლი რაოდენობით დარტყმებისას ერთ-ერთი გუნდი არ დაწინაურდება. მ. მაჩაიძე... გოლია! ტოლსტიხიც არ აცდენს მიზანს, სულაქველიძე... გოლია!

...გაზაევის დარტყმა და გაბელიას ბრწყინვალე ნახტომი.

თასი ჩვენია!

მოედნიდან ხელში აყვანილი გამოიყავთ შეხვედრის მთავარი გმირი ოთარ გაბელია, რომელმაც მთელი 120 წუთი დიდებულად ითამაშა, ხოლო პენალტების სერიისას შეუძლებელი შესძლო— 3 თერთმეტმეტრიანი ჯარიმა მოიგერია.

რამდენიმე წუთის შემდეგ „დინამოს“ კაპიტანს მანუჩარ მაჩაიძეს ხელი უპყრია თასი. უზომო სიხარულია მინდორზე, ტრიბუნებზე ქართველი ფეხბურთის ქომაგები ერთმანეთს ეხვევიან, მილოცვებს ბოლო არა აქვს, ირგვლივ ყვავილების ზღვაა, სადღაც ჩრიალდნებიც აკიაფდა. დინამოელები სპატიო წრეს ყვლიან ლუჟნიკში. ქედერს გამარჯვებულთა მარში.

მატჩის შემდეგ თბილისელებს მიეულოცა „ლივერპულის“ მწვრთნელმა ტომას სანდერსმაც. — სპარტაკიადის შემდეგ ორივე გუნდი გადაღლილი გამოიყურებოდა, მაგრამ, ვფიქრობ თამაშით მაინც თბილისელებმა დაჯაბნეს მეტოქე. — თქვა მან.

გვიან ღამემდე ზეიმობდნენ გამარჯვებას თბილისი და თბილისელებიც, რომლებიც თავიანთ საყვარელ გუნდს დიდად უმადლიან ბრწყინვალე გამარჯვებას.

ᲗᲐᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲘ“ ᲐᲛ ᲗᲐᲛᲐᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲩᲘᲛᲠᲘᲐᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ.

Გ. ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

„ᲔᲚᲝᲓᲔᲗ ᲛᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲡ“

ᲝᲗᲐᲠ ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ — ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ა. პ. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიაში გადაღებული ახალი მხატვრული ფილმი — „ელოდეთ მეკავშირეს“, მაყურებელს დაინტერესებს არა მარტო დრამატული შინაარსით, არამედ მისი შემქმნელი • შემოქმედებითი კოლექტივითაც. კინონაწარმოებში, რომელიც დიდი სამამულო ომის დაუვიწყარ ფურცლებს ასახავს, დამდგმელ რეჟისორად პირველად მოგვევლინა პოპულარული მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ოთარ კობერიძე. რომელსაც 40-ზე მეტი როლი აქვს შესრულებული საბჭოთა და საზღვარგარეთელი ავტორების ფილმებში.

ყოფილმა ფრონტელმა, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილემ, მან სცენარისტებთან ირაკლი გოცირიძესთან, იური ზბანაცკისთან, ევგენი ბრიუნჩუგინთან ერთად ფილმისათვის შეარჩია დოკუმენტური და უაღრესად საინტერესო მასალა. იგი ფილმის ერთ-ერთ მთავარ როლშია გადაღებული. ფილმში მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოს, მოლდავეთის, უკრაინის ბელორუსიის კინოსტუდიების მსახიობები.

ᲚᲔ. ᲙᲝᲠᲝᲒᲝᲩᲐᲙᲘ,
ᲡᲐᲯᲔᲓᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲠ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲒᲔᲘᲢᲛᲐᲣᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაიწყო ცნობილი ამერიკელი მუსიკოსის კლარენს გეიტმაუს ბრაუნის კონცერტები.

საკონცერტო პროგრამაში კლარენსი ასრულებს საკუთარ ნაწარმოებებსა და პოპულარულ მელოდიებს. იგი ვირტუოზულად უკრავს გიტარასა და ვიოლინოზე. მისი კომპოზიციები დიდხანს ემახსოვრებათ თბილისელ მუსიკის მოყვარულებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ᲣᲙᲠᲐᲕᲡ ᲒᲔᲘᲢᲛᲐᲣᲡᲘ.
Ჯ. ᲚᲣᲬᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲘᲠᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲦᲘᲛᲘᲚᲘ

ᲖᲦᲕᲐᲖᲔ...



ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ

ᲙᲔᲠᲫᲝᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔ

ᲫᲘᲫᲐ

ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘᲢᲝᲠᲘ

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ Გ. ᲐᲒᲐᲨᲘᲫᲔ.

ᲓᲘᲓᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲓᲔᲓᲔᲑᲗᲔᲗ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔ!

ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲗ

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ: 12.15 — **„ᲙᲝᲚᲝᲤᲝᲜᲘᲐ“** (საქ. ტ. I პრ.), 13.30 — კინოსმოყვარულთათვის (საქ. ტ. I პრ.), 17.40 — ქართული მხატვრული ფილმი **„დედოსტაის მარჯვენა“** II სერია (საქ. ტ. II პრ.), 22.40 — მხატვრული ტელეფილმი **„ჩალვადართა ბილიკებით“** (ც. ტ. IV პრ.).

ᲛᲣᲚᲢᲘᲙᲚᲘᲙᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ: 12.50 — **„ᲑᲝᲚᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ“** (ც. ტ. I პრ.), 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი (საქ. ტ. I პრ.), 16.20 — ბავშვებისათვის — **„ᲒᲐᲖᲐᲠᲗᲝᲜᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ“** (საქ. ტ. II პრ.), 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმები (საქ. ტ. II პრ.).

ᲛᲣᲡᲘᲙᲐ: 10.05 — უკრავს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი **ვ. ᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘᲫᲔ** (ც. ტ. I პრ.), 10.30 — **ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ** (ც. ტ. IV პრ.), 12.10 — მუსიკალური პროგრამა **„ᲓᲔᲚᲘᲚᲘ ᲤᲝᲗᲢᲐ“** (ც. ტ. IV პრ.), 13.00 — **ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲘ** (ც. ტ. I პრ.), 14.05 — მღერის სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ბ. ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝ** (ც. ტ. IV პრ.), 15.00 — ცისარტყელა. **ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲥᲛᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲢᲝᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ III ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ,** სინგაპური (ც. ტ. IV პრ.), 18.15 — მშენებლის დღისადმი მიძღვნილი **ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ** (ც. ტ. I პრ.), 22.35 — უკრავს **ნინო ქათამაძე** (საქ. ტ. I პრ.).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ: 19.00 — **ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲛᲝᲢᲝᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ. ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲮᲔᲛᲘᲗ** (ქალები). **ᲢᲠᲐᲛᲒᲚᲘᲜᲔᲑᲘ** (კაცები), 20.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: **„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) — „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ).** რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან. (საქ. ტ. I პრ.), 23.25 — მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში (ცხენსნობა).

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

„ᲨᲐᲕᲘ ᲛᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲓᲣᲠᲘ“ (ამირანი — 10, მეგობრობა — დიდი დარბაზი — 13), **„ᲥᲐᲚᲘ ᲨᲝᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ“** (საქართველო — მწვანე დარბაზი — 13, 15-30, 17, მეგობრობა — მცირე დარბაზი — 12), **„ᲑᲔᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲣᲜᲔᲑᲐ“** (ყაზბეგი — მეორე დარბაზი — 13, 15), **„ᲩᲐᲜᲩᲩᲔᲠᲘ“** (პროფკავშირების კულტურის სასახლე), **„ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲙᲝᲑᲠᲐ“** (ვაჩრობის კულტურის სახლი), **„ᲒᲐᲠᲘᲑᲘ ᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ“** (კომკავშირელი — 10), **„ᲛᲐᲜᲐᲜᲐ“** (ნაკადული — 10-30, 12, 13-30), **„ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲓᲣᲛᲚᲝ“** (თანამგზავრი — 10-30, 12, 13-30), **„ᲛᲐᲒᲓᲐᲜᲐᲡ ᲚᲣᲠᲯᲐ“** (ყაზბეგი — მეორე დარბაზი — 11), **„ᲒᲐᲡᲔᲠᲜᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ“** (კომკავშირელი — 11-30, 13, 14-30, 16, 17-30), **„ᲩᲔᲛᲘ ᲐᲚᲘᲠᲡᲘᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲜᲐᲖᲘ ᲛᲑᲔᲪᲘ“** (ქრონიკა — წითელი დარბაზი — 18, 20), **„ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ“** I-II სერია (რუსთაველი — 12, 15, 18, 20-30, ოქტომბერი — 10, 12-30, 15, 17-30, 20, ამირანი — 12, 15, 18, 20, საქართველო — წითელი დარბაზი — 10, 12-30, 15, 17-30, 20),

ᲞᲔᲡᲬᲠᲐᲓᲐ

ᲓᲐᲔᲡᲬᲐᲠᲘᲗ
ᲛᲔᲢᲮᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲐᲢᲝᲡᲖᲔ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ.
ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ
ამერიკის შეერთებული შტატების ჯაზ-კოლექტივი **„ᲒᲔᲘᲢᲛᲐᲣᲡ ᲑᲠᲐᲣᲜ ᲨᲝᲣ“.**

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ
Გ. ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲓᲘᲝ

13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ: 06.10 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — მელოდიიდან მელოდიამდე, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა ქართულ ენაზე, 11.20 — ო. თევდორაძე — „ქართული სიტყვა“ (ნაწყვეტები), 11.30 — უკანასკნელი ცნობები 11.45 — ბორეგომის კუროორტებზე, 12.30 — კ. სენ-სანსი — ინტერფლეტიცია და რონდო-კაპრიჩიოზო, 12.40 — კომენტატორი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია „ქართულ ენაზე, 13.55 — ამინდის ბიუროს ცნობა, 14.00 — „ლიგერატურული კითხვა“ — ა. ლორთქიფანიძე — „კოლხეთის ცისკარი“, რომანი, 14.20 — კონცერტი დ. ხახანოვის ნაწარმოებებიდან, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „ორი ძმა“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“ — კონცერტი, 19.00 — განვამტკიცოთ სახელმწიფო დისციპლინა, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.40 — „ჩვენი ლაშქარი“ — რადიონარკვევი „ზეციქაკავაგორე ზაურ თელია“, 20.30 — „თეატრი მიკროფონთან“ — ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „სრბოლა“, 23.30 — ლირიკული მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ

ᲝᲜᲐᲕᲐᲠᲘ. ᲮᲔ-ᲜᲘᲐᲜᲒᲘ. ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲚᲔᲗ.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

ᲔᲜᲘᲗ უთქმელია ყველა ჩვენგანის სიხარული!

წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდით მეც და 1964 წლის თბილისის „დინამოს“ ყველა მოთამაშე. როგორ განვიცდიდით, როგორ ვღელავდით. მაგრამ ბარაქალა თქვენს შემართებას, რომ ის დაძაბული წუთები ბედნიერად დაგვირგვინეთ. ყოჩაღ, ბიჭებო! ის მწვერვალი, რომელიც წინა თაობებმა ვერ ავიღეთ, თქვენ უკვე მეორედ დალაშქრეთ.

ყველას ერთად გეხვევით და გკოცნით!

ასე გაგრძელეთ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ 1964 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲝᲛᲐᲨᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲔᲡᲮᲘ.

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ შედეგებით დამთავრდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ორი შერჩევითი მატჩი. ბოლივიელებმა საკუთარ მოედანზე ერთნაირი ანგარიშით — 2:1 ჯერ მსოფლიო ჩემპიონები არგენტინელები დაამარცხეს, შემდეგ კი ბრაზილიელები.

თავის მხრივ ბრაზილიელებმა რიო-დე-ჟანეიროში კვლავ იმავე ანგარიშით — 2:1 დაამარცხეს არგენტინელები, ამ უკანასკნელებმა კი ბუენოს აირესში რევანში აიღეს ბოლივიელებთან განმეორებით მატჩში — 3:0.

ახლა ტურნირს ლიდერობს ბოლივიის ნაკრები, რომელსაც 4 ქულა აქვს. არგენტინელებმა და ბრაზილიელებმა 2-2 ქულა დაგროვეს. (საკდესი).

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ
Გ. ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐᲕ, ᲰᲐᲘ, ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐᲕ!

ᲰᲝᲙᲚᲐᲐ! — წამოვიძახე გახარებულმა, საგზური რომ მოვიგდე ხელში, და ისეთ გუნებაზე დავდექი, თითქოს მზით გავარვარებულ ოღროჩოღრო კბოდედან პირდაპირ ზღვის ტალღებში გადავშვებულიყავი.

მოდი და ნუ გაგიხარდება! კინოთეატრის ბილეთი ხომ არ გგონია თქვენ ეს საგზური, რომ ადვილად იშოვო! რიგს აუქციონ გვერდი, ნაცნობ დირექტორთან ან ადმინისტრატორთან შეიჭრე უკანა კარიდან და მოგეკენ. ნურას უკაცრავად! ეს, ბატონო, ის საგზური გახლავთ, რომელიც უფლებას იძლევა დაისვენო ხელოვანთა შემოქმედებითს სახლში, ბიჭვინთაში, აპა, რა გეგონათ თქვენ?!

მერე, მხოლოდ დასასვენებლად კი არ გგზავნიან იქ, ტყუილად ხომ არ ჰქვია შემოქმედებითი სახლი! ეს იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებითად უნდა გაატარო დრო, კიდეც დაისვენო და კიდე